პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

# კომუნისტი

გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 12 აგვისტო № 188 (16618) ფასი 2 კაპ. 1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხი — კომუნისტთა საზრუნავი



თბილისის კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩარხსაშენებელი ქარხანა ახალი საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმო გახდა. იგი ქვეყანაში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ახალი მოდელის უნივერსალურ სახარატო ხრახნსაჭრელ ჩარხებსა და სპეციალურ მილდასამუშავებელ ჩარხებს ამზადებს. ეს პროდუქცია საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და საზღვარგარეთ ორმოცდაორ ქვეყანაში იგზავნება.

ამ დღეებში თბილისელ ჩარხმშენებელთა კოლექტივში ახალი ინიციატივა იშვა. შრომის ვეტერანთა ჯგუფმა — შიგმლარავებმა გ. გუბარევიჩმა, ა. ხუკაჩევმა, ხარატებმა ზ. ველუკაშვილმა, პ. ტენიშჩევმა და ა. ხარიტონაშვილმა წამოაყენეს წინადადება თავიანთ ბრიგადებს ორგანიზაცია გაუწიონ და იშრომონ დევიზით: „პირადი სამუშაო დამღისაგან — ხარისხის კოლექტიურ გარანტიამდე".

სურათზე: ხარატ ალექსანდრე გოცირიძის ანგარიშზე 42 დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებაა. იგი სიამოვნებით უზიარებს ცოდნას ახალგაზრდა მუშებს. ნამოწაფარი, ახლა მოწინავე ხარატი კომკავშირელი ნუგზარ ბერიძე თავის დამრიგებელთან რჩევის მისაღებად მოვიდა.

ა. სააკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ყველგან და ყველაფერში — სოციალისტური დისციპლინა!

## აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების მონაწილეების მიმართვა

### საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის სპეციალისტებს, ყველა სოფლის მშრომელს

... დიდებული სოციალისტური ვალდებულებანი მეათე ხუთწლედის პირველ წელს. ამ ვალდებულებათა შესრულებაში ღირსეული წვლილი შეაქვს ჩვენს კოლექტივსაც, სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას.

მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი მეურნეობის ყველა დარგში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მოგვიპოვებინებს მტკიცე შეგნებული დისციპლინა, და ამიტომ გავეცანით რა დიდი ყურადღებით რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას — „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!" ჩვენ მხურვალედ მოვიწონეთ იგი.

რუსთაველმა მეტალურგებმა თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს ბრძოლა ყველგან და ყველაფერში შეგნებული სოციალისტური დისციპლინის დამკვიდრებისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, მეურნეობის აქტივი ასევე დიდ ყურადღებას უთმობენ შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას. კარგად გვესმის, რომ თუ კეთილსინდისიერად არ შევასრულეთ შრომითი და საზოგადოებრივი მოვალეობა, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით არ მოვეკიდეთ დაკისრებულ საქმეს, არ უზრუნველვყავით მუშაობის უმაღლესი ხარისხი, ვერ მივაღწევთ მწვერვალებს, რომელთა დასალაშქრავადაც მოგვიწოდებს მშობლიური კომუნისტური პარტია.

ჩვენმა კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულა სიმინდის წარმოების გეგმა მეცხრე ხუთწლედში. ვაწარმოეთ 4.870 ტონა სიმინდის მარცვალი, რაც 269 ტონით აღემატება მერვე ხუთწლედის მაჩვენებელს. 1975 წელი განსაკუთრებით უხვმოსავლიანი გამოდგა. სიმინდის საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ მაშინ 55,2 ცენტნერი შეადგინა, ხოლ კი 1.215 ტონა მარცვლეული ვაწარმოეთ. საგრძნობი წარმატებანი მოვიპოვეთ აგრეთვე ჩაის ფოთლის, ეთერზეთოვანი ნედლეულის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში.

ამ წარმატებათა მიღწევაში დიდმნიშვნელოვანი როლი შესრულა ფართოდ გაჩაღებულმა ქმედითმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, მისი ორგანიზაციის ახალმა ფორმებმა, მატერიალურმა და მორალურმა სტიმულირებამ. 1975 წლის შედეგებისათვის კოლმეურნეებს მატერიალური წახალისების ყველა სახით მიეცათ 605 ტონა სიმინდის მარცვალი და 57.970 მანეთი ნაღდი ფული.

საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა, მათი საყოფაცხოვრებო პირობები.

ჩვენს კოლმეურნეობას მაღალნაყოფიერი შრომისათვის მრავალგზის დაუმსახურებია პარტიისა და მთავრობის მადლობა, საპატიო ჯილდოები. კოლმეურნეობის სამი წევრი სოციალისტური შრომის გმირია, ბევრი — ორდენებითა და მედლებითაა დაჯილდოებული.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მეათე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენი კოლმეურნეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს. აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა უკვე 110 პროცენტით გვაქვს შესრულებული. გეგმით გათვალისწინებული 315 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდეთ 1.050 ტონა ბოსტნეული, წარმატებით სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ვაწარმოეთ 3.030 ცენტნერი რძე, 100 ცენტნერით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ყოველ ძროხაზე უკვე მივიღეთ 1.621 კილოგრამი რძე.

კოლმეურნეობაში მოგვარებულია სიმინდის ყანებისა და ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციების სანიმუშო მოვლა, რაც იმის გარანტიაა, რომ დიდძალ მარცვლეულსა და ეთერზეთოვან ნედლეულს დავამზადებთ.

ჩვენი ამოცანაა მეათე ხუთწლედის პირველ წელს 25 პროცენტით გადავაჭარბოთ სიმინდის წარმოების გეგმას და 60 ცენტნერამდე გავზარდოთ ჰექტარობრივი მოსავლიანობა.

გეგმის დამატებით ვაწარმოებთ 300 ტონა ეთერზეთოვანი კულტურების მწვანე მასას — საშუალოდ 100 ცენტნერს ჰექტარზე. სახელმწიფოს მივყიდით დაგეგმილზე ოთხჯერ მეტ ბოსტნეულს, გეგმის გადაჭარბებით ვაწარმოებთ 150 ცენტნერ ხორცსა და 70 ცენტნერ რძეს, საშუალოდ თითო ძროხაზე მივიღებთ 2.600 კილოგრამ რძეს.

ამ მაღალი მიჯნების მისაღწევად უფრო ეფექტიანად უნდა ვიყენებდეთ არსებულ შესაძლებლობებს და რეზერვებს, ვმუშაობდეთ კიდევ უფრო ნაყოფიერად. მაგალითად, კოლმეურნეობაში ცოტა როდი გვყავს ისეთი მესიმინდეები, ჰექტარზე 90-100 ცენტნერ მარცვალს რომ იღებენ, მაგრამ მათი გამოცდილება ჯერ კიდევ არ ქცეულა საყოველთაო კუთვნილებად. ამიტომაა, რომ ყველა მიწათმოქმედს ვერ მოჰყავს უხვი მოსავალი. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ყველა კოლმეურნე მოწინავე გახდეს.

ვამაყობთ, რომ ჩვენს რიგებში არ არიან სოციალისტური დისციპლინის დამრღვევნი: ხულიგნები, „ფრენიები", ისეთი ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

რუსთაველთა პატრიოტული მოწოდება „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!" იშვა იმ დადგენილების პასუხად, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. ეს დოკუმენტი, რომელსაც ზოგადპარტიული მნიშვნელობა აქვს, გვიხმობს ახალი შრომითი წარმატებებისათვის, მოგვიწოდებს მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს.

ჩვენ, აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, ამ კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მუშა-მოსამსახურეებმა, გადავწყვიტეთ კიდევ უფრო აქტიურად განვამტკიცოთ სახელმწიფო, შრომის, საწარმოო, საგეგმო, საფინანსო, სახელშეკრულებო დისციპლინა, არ გავაჭაჭანოთ ჩვენს გვერდით არცერთი ჩამორჩენილი თუ უდისციპლინო მუშაკი, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენი კოლმეურნეობის ზონაში შემავალი სოფლები გადავაქციოთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის სოფლებად.

ჩვენ ალგითქვამთ, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ წარმოების ტემპს, გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს, უფრო სრულად გამოვიყენებთ სახნავ-სათესს, ავამაღლებთ შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონეს, საგანგებო ყურადღებას დავუთმობთ წარმოების სპეციალიზაციასა და შიდასამეურნეო კონცენტრაციას. აქტიურ მონაწილეობას მივაღებინებთ ყოველ კოლმეურნეს საზოგადოებრივ შრომაში, უთუოდ შევასრულებთ გეგმებსა და დავალებებს.

ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღებთ ბრძოლას სამართალდარღვევათა ხელშემწყობი პირობების ლიკვიდაციისათვის, გავაძლიერებთ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რათა თავიდან ავიცილოთ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები.

ვალდებულებას ვკისრულებთ, რომ დავამშვენებთ სოფლებს, კეთილმოვაწყობთ საკოლმეურნეო კარ-მიდამოს, შევქმნით საჭირო პირობებს ნაყოფიერი შრომისა და კულტურული დასვენებისათვის.

წესრიგს დავამყარებთ ყოფა-ცხოვრების სამსახურში, გავაძლიერებთ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ახალგაზრდობაში შორის, მეტ ყურადღებას დავუთმობთ უმარტივესი ტიპის სპორტული კომპლექსების მშენებლობასა და კეთილმოწყობას.

ჩვენ, კრების მონაწილენი, დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობის გააქტიურების საფუძველზე.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს, ჩვენ მოგვბაძონ, მაშ, შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ სოციალისტური დისციპლინის ყოველგვარ დარღვევას, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი საზოგადოების ყოველი შრომისუნარიანი წევრი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ყოველი ჩვენგანი თავის სამუშაო ადგილზე სამაგალითო იყოს თავდადებული შრომით, ინიციატივიანი და ნაყოფიერი მუშაობით და თავისი წვლილი შეიტანოს მეათე ხუთწლედის დავალებების, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებაში.

მიმართვა ერთსულოვნად არის მიღებული აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე.

# შეგნებული დისციპლინა, ორგანიზებულობა, მაღალნაყოფიერი შრომა წარმატების საწინდარია!

## აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრება

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ეს აღმავლობა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებას მოჰყვა. სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების კოლექტივებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს მტკიცე აქვთ გადაწყვეტილი არ დაიშურონ ძალ-ღონე, ცოდნა და უნარი იმ საქმისათვის, რომ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებით დასახული ამოცანები, მიაღწიონ წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შეიტანონ ღირსეული წვლილი სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

ყველგან მხურვალე მხარდაჭერა და მოწონება პოვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის პატრიოტულმა მოწოდებამ — ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს სოციალისტური დისციპლინა, მოვახმაროთ მთელი ძალები შეგნებული დისციპლინისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფას და განვახორციელოთ მეათე ხუთწლედის — ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკის ზრდისა და სახალხო კეთილდღეობის გაუმჯობესების ხუთწლედის მთავარი მოთხოვნა. ამ აზრით იყო გამსჭვალული სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრება, რომელიც აბაშაში გაიმართა.

კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. თოფურიამ.

კრების საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

რუსთაველთა პატრიოტულ ინიციატივას, თქვა ამხ. პატიაშვილმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. დავამყაროთ სოციალისტური წესრიგი ყველგან და ყველაფერში — აი მთავარი მოთხოვნა, რომელიც დგას ჩვენს წინაშე, თვითეული მშრომელის წინაშე. ახლა საჭიროა უზრუნველვყოთ არა მარტო კოლექტიური, არამედ პირადი პასუხისმგებლობაც დაკისრებული საქმისათვის, სახელმწიფო დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებისათვის.

უკანასკნელ წლებში სოფლის მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულეს ხუცუბნელთა და ტყვიაველთა თაოსნობებმა, რომელთა მიზანია სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცება. ახლა საჭიროა კიდევ უფრო გავაღრმაოთ ეს პროცესი, კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ და გავაფართოოთ იგი. ამ ბრძოლას დღითი დღე სულ უფრო მასობრივი ხასიათი ენიჭება. დღეს უკვე აღარ კმარა იყო მოწინავე, კეთილსინდისიერად ასრულებდე დაკისრებულ მოვალეობას. მთავარია, გვერდით არ გვყავდეს ჩამორჩენილი, უდისციპლინო. ყველამ ერთსულოვნად, პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობით უნდა ვიბრძოლოთ იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობას, ვინაიდან სწორედ ახლა წყდება მეათე ხუთწლედის პირველი წლის მოსავლის ბედი, ახლა ეყრება საფუძველი გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

გაჩაღებული მკაა. აღმოსავლეთ საქართველოს მეურნეობებმა მარცვლოვანთა უხვი მოსავალი მოიწიეს. წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, მარნეულის, ახმეტისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმა ჰექტარზე 30-35 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. თავთავიან მარცვლოვანთა საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ რესპუბლიკაში 25 ცენტნერს გადააჭარბა. ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მესიმინდეებმაც გაანაღდონ თავიანთი მაღალი ვალდებულებანი. ამრიგად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა პირველად შეასრულებს საზოგადოებრივ სექტორში მარცვლეულის გეგმას, აწარმოებს 661 ათას ტონა მარცვლეულს.

იზრდება ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების მოცულობა, გაცილებით უკეთ მარაგდება ამ სურსათით რესპუბლიკის ქალაქები და კურორტები. ურიგოდ არა გვაქვს არც მათი საერთოსაკავშირო ფონდში გაგზავნის საქმე.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ახორციელებენ გადამჭრელ ღონისძიებებს, რათა აღმოფხვრან ჩაის ფოთლის კრეფაში, ხილისა და ზოგიერთი სხვა კულტურის მოსავლის აღებაში ამინდის რთული პირობებით გამოწვეული ჩამორჩენა.

მთლიანად რესპუბლიკაში კარგად მიმდინარეობს საკვების დამზადებაც. აგვისტოს დამდეგისათვის დამზადებული იყო შარშანდელზე 90 ათასი ტონით მეტი უხეში საკვები, 113 ათასი ტონით მეტი სენაჟი, 1,3 ათასი ტონით

(დასასრული მე-2 გვ.).

# მისაბაძი მაგალითი

## დნეპროპეტროვსკის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის კომბაინის ქარხნის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი კმაყოფილებით შეიტყო, რომ თქვენ დამატებითი ვალდებულებანი იკისრეთ ვადამდე მიაწოდოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიმდინარე წლის მოსავლის აღებისათვის საჭირო ტექნიკა. ეს ადასტურებს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი ესწრაფვის აამოქმედოს წარმოების ახალი რეზერვები სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, მკაფიოდ გამოხატავს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მონოლითურ ერთობას, მთელი ხალხის ზრუნვას მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ახლა, მოსავლის აღების აღოობის ჟამს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ზუსტად და მწყობრად მუშაობდეს ქვეყნის მძლავრი აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლი, ყველა კოლექტივი, რომლებიც დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან, დამზადებასთან, გადამუშავებასა და დაბინავებასთან. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში მეტად დიდია მანქანათმშენებლების როლი.

მივცეთ სოფლის მეურნეობას მეტი მოსავლის ასაღები ტექნიკა და სათადარიგო ნაწილები — ეს ნიშნავს უფრო სწრაფად ავიღოთ მოსავალი, არ დავუშვათ ჭირნახულის დანაკარგები, მივიღოთ ათასობით ტონა დამატებითი პროდუქცია.

მწამს, რომ თქვენ ღირსეულად შეასრულებთ დადებულ სიტყვას და დნეპროპეტროვსკელი კომბაინმშენებლების მაგალითს მიბაძავს ყველა საწარმო, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას უშვებენ.

ლ. ბრეჟნევი.

# ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ტ. ჟივკოვს

11 აგვისტოს ყირიმში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და საბჭოთა კავშირში დასასვენებლად მყოფი ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მეგობრული შეხვედრა.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ჟივკოვმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებანი. მათ კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ თანამიმდევრულად ვითარდება საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხაზით. საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის გეგმების წარმატებული განხორციელება კარგ წანამძღვარებს უქმნის ორ ქვეყანას შორის ცხოვრების ყველა სფეროში თანდათანობით დაახლოების პროცესის გაღრმავებას.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვისას ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ჟივკოვმა აღნიშნეს, რომ ჰელსინკის უმაღლესი დონის თათბირმა სერიოზული დასაბამი მისცა ევროპაში სახელმწიფოთა ურთიერთობის გარდაქმნას მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის პრინციპებზე. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ გაძლიერდეს თათბირის ყველა მონაწილის ღონისძიებანი მათ მიერ გამოცხადებული ისტორიული მიზნების მისაღწევად. ენერგიულად შეუწყონ ხელი ამას — ასეთია საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მტკიცე გადაწყვეტილება.

გამოითქვა რწმენა, რომ ევროპის კომუნისტთა ბერლინის კონფერენციაზე წამოყენებული პლატფორმა მძლავრ საყრდენს უქმნის მთელ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ევროპის მშვიდობის, მეგობრობისა და პროგრესისათვის იბრძვიან.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ტ. ჟივკოვის შეხვედრამ გულითადობის, ერთსულოვნებისა და ძმური ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

# ნ. ჩაუშესკუ თბილისიდან გაემგზავრა

11 აგვისტოს თბილისიდან ერევანს გაემგზავრა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დასასვენებლად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

ნ. ჩაუშესკუსა და მის მეუღლესთან ე. ჩაუშესკუსთან ერთად გაემგზავრა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ანდრეი.

აეროპორტში ნ. ჩაუშესკუ და სხვა რუმინელი ამხანაგები გააცილეს ე. ა. შევარდნაძემ, ზ. ა. პატარიძემ, ვ. მ. სირაძემ, ა. ნ. ინაურმა, თ. ნ. მენთეშაშვილმა, ჟ. კ. შარტავამ.

გამცილებელთა შორის იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კიკვაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. ე. კეთილაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ვ. ახვლედიანი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ა. გოგლიძე, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ვ. ბერიძე.

რესპუბლიკის ხელმძღვანელები გულთბილად დაემშვიდობნენ და გზა დაულოცეს საპატიო სტუმარს. ნ. ჩაუშესკუმ გულითადი მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარული მიღებისათვის.

თვითმფრინავმა გეზი ერევნისკენ აიღო. (საქინფორმი).

„სალუტ-5":

# კლინიკური კვლევა სამეცნიერო სადგურში

ფრენის მართვის ცენტრი, 11 აგვისტო. (საკდესი). მთავრდება კოსმონავტების ბორის ვოლინოვის და ვიტალი ჟოლობოვის მუშაობის მეხუთე კვირა ორბიტულ სამეცნიერო სადგურ „სალუტ-5"-ში.

გასული ორი დღის ფრენის პროგრამის მეტი ნაწილი სამედიცინო ექსპერიმენტებს მიეძღვნა. კოსმონავტებმა შეასრულეს სისხლძარღვთა სისტემის კვლევის ციკლი, რისთვისაც გამოიყენეს მრავალფუნქციიანი საზომი აპარატურა „პოლინომ-2მ". სპეციალური მოწყობილობის საშუალებით მოეწყო ეკიპაჟის ორივე წევრის სხეულის მასის გაზომვა.

ტექნიკური ექსპერიმენტების პროგრამით გაგრძელდა სადგურში დადგმული სტაბილიზაციის ელექტრომექანიკური სისტემის გამოცდა.

სამეცნიერო სადგურიდან მიღებული ცნობებით, ამხანაგები ბ. ვ. ვოლინოვი და ვ. მ. ჟოლობოვი თავს კარგად გრძნობენ. სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ფრენა გრძელდება.

# საბჭოთა პიონერიის შეკრება

გურზუფი (ყირიმის ოლქი), 11 აგვისტო. (საკდესის კორ.). წითელყელსახვევიან გოგონებსა და და ბიჭუნებს დიდი დღესასწაული დაუდგათ: დღეს საკავშირო საბავშვო ჯანმრთელობის კერაში „არტეკში" პიონერთა მეშვიდე საკავშირო შეკრება გაიხსნა.

პიონერთა 25 მილიონიანი არმიის წარმომადგენლები შეაჯამებენ ორწლიანი მარშის „კომუნისტებს ვბაძავთ" შედეგებს, რომელიც სკკპ XXV ყრილობას მიეძღვნა. ათი ათასმა რაზმეულმა და ასმა რაზმმა მიიღო მოწინავის წოდება. ნორჩმა ლენინელებმა, რომლებიც ხორცს ასხამენ დევიზს „ბამს პიონერული რელსები!", იმდენი ლითონის ჯართი მოაგროვეს, რომ ამ ჯართისაგან გამომდინარი ლითონი ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მთელი რკინიგზის გაყვანას ეყოფოდა.

11 აგვისტო

# „პრავდის" ფურცლებზე

სკკპ XXV ყრილობის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელება განუყრელად არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებასთან და სამეურნეო საქმიანობის სტილისა და მეთოდების მნიშვნელოვან ცვლილებებთან. ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს მართვა და დაგეგმვა.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს, — ნათქვამია მოწინავეში („ახალი, მოწინავე — ცხოვრებაში")—მათი უახლესი მიღწევების წარმოებაში დანერგვას პარტია საერთო სახელმწიფოებრივ, საერთო სახალხო საქმედ თვლის.

ყველა სამეურნეო ხელმძღვანელს დღესაც არ ეპატიება სოციალისტური მეურნეობრიობის საჭირო ელემენტად, საპირველო ვალდებულო საქმედ შრომის ნოვატორული ხერხების, მისი საუკეთესო ორგანიზაციის პროპაგანდა და დანერგვა.

პარტიის წევრები მოვალენი არიან იყვნენ პირველები, სიახლის, მოწინავის ყველაზე აქტიური და თანამიმდევრული ქომაგები. სიახლის გრძნობა კომუნისტის, თანამედროვეობის მხარდამხარ მიმავალი ყოველი მუშაკის აუცილებელი ნიშანთვისებაა.

ყოველივე ახალი, სხვულისხმო, პროგრესული — ცხოვრებაში! ეს დევიზი ნაკარნახევია დღის საჭირბოროტო მოთხოვნებით, მეათე ხუთწლედის ამოცანებით.

რაც უფრო მეტი დრო გადის, წერს ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ვოროპაევი, მით უფრო მეტი სიღრმით ვწვდებით მეურნეობისადმი და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობისათვის სკკპ XXV ყრილობის მიერ წამოყენებული ამოცანების, იდეებისა და დებულებების უდიდეს მნიშვნელობას. (მ. ვოროპაევის წერილი — „შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი").

ახლახან გამოვიდა მეორე მსოფლიო ომის ისტორიის მეექვსე ტომი (1939-1945). ამის გამო გაზეთი აქვეყნებს აკადემიკოს ი. მინცის რეცენზიას — „დიადი გარდატეხა".

# შეგნებული დისციპლინა, ორგანიზებულობა, მაღალნაყოფიერი შრომა წარმატების საწინდარია!

(დასასრული)

მეტი ვიტამინიანი ბალახის ფქვილი.

არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს წელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დიდი წარმატებების წელი იქნება. ახლა მთავარია მთლიანად მოვიწიოთ და შევინარჩუნოთ მდიდარი მოსავალი, ავამოქმედოთ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში არსებული ყველა რეზერვი.

ამ საკითხებს ყურადღებას არ აკლებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ცნობილია, თუ რა დიდი შეფასება მისცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივებს. საქართველოს მოწინავე მექანიზატორებმა, რომლებმაც ქვეყნის სახელგანთქმულ მექანიზატორთა მაგალითისამებრ ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს, რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს მოუწოდეს იმუშაონ კიდევ უფრო უკეთ, კიდევ უფრო ეფექტიანად. კრასნოდარის მხარის მიწათმოქმედთა მაგალითისამებრ, საქართველოს სოფლის მშრომელებმა გადასინჯეს წინათ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და მათში ახალი, მნიშვნელოვანი შესწორებანი შეიტანეს. წლეულს რესპუბლიკამ უნდა დაამზადოს: 200 ათასი ტონა მარცვლეული, რაც წინათ ნაკისრ ვალდებულებაზე 70 ათასი ტონით მეტია, 340 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — ანუ 15 ათასი ტონით მეტი, 120 ათასი ტონა ციტრუსი — 20 ათასი ტონით მეტი, 135 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი — 5 ათასი ტონით მეტი, 130 ათასი ტონა ხორცი — 7 ათასი ტონით მეტი, 227 ათასი ტონა რძე — 2.000 ტონით მეტი, 327 მილიონი ცალი კვერცხი — 7 მილიონით მეტი.

ასეთ პირობებში, როცა ქვეყნის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებსაც მზრუნველობას არ აკლებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის იბრძვიან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მხურვალედ დავუჭიროთ მხარი და ფართოდ გავავრცელოთ რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობა — „არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!".

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის დიდი მიღწევაა ის, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა შემთხვევები, როცა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სპეკულაციის მიზნით გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ამას, ამხანაგებო, დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს და მოწმობს, რომ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მტკიცდება სოციალისტური დისციპლინა, რომ ჩვენს სოფელში აღარ დაიდგომებათ იოლი ცხოვრების მოყვარულთ, უქნარებს, წამგლეჯებს, სპეკულანტებს. უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უეჭველია, კიდევ უფრო აამაღლებს სოფლის მშრომელთა ავტორიტეტს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს სამარცხვინო მოვლენები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აღვკვეთეთ. გადაუდებელი ამოცანაა შეუპოვარი ბრძოლა ისეთ ადამიანებთან, რომლებიც პირადი გამორჩენის მიზნით ფეხქვეშ თელავენ ეროვნულ ტრადიციებს, სოფლის მშრომელის სახელს და ნამუსს. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ყოველ სოფელში, ყოველ მეურნეობაში, თვითეულ საწარმოსა და დაწესებულებაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი და დისციპლინა იყოს.

ჩვენი დღევანდელი კრების საბაბი, თქვა შემდეგ ამხ. პატიაშვილმა, კარგი თაოსნობა გახლავთ. თქვენ, ტყვირელი კოლმეურნეები, რესპუბლიკაში პირველნი გამოეხმაურეთ რუსთაველთა თაოსნობას. ეს ბევრს გავალებთ. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ მიღწეულ შედეგებზე, გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი და დავსახოთ მათი დაძლევის გზები, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს კოლმეურნეობის ეკონომიკა, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს თვითეული კოლმეურნის ცხოვრების დონე.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ტყვირში მნიშვნელოვნად შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც არ ასრულებდნენ კაცდღეების გამომუშავების ნორმებს. თუ 1971 წელს კოლმეურნეობის ხუთი წევრი საერთოდ არ მონაწილეობდა კოლექტიურ შრომაში, 28 კოლმეურნეს კი არ ჰქონდა გამომუშავებული კაცდღეების საჭირო მინიმუმი, 1975 წელს მხოლოდ ხუთმა კოლმეურნემ, ისიც საპატიო მიზეზით, ვერ შეასრულა დაწესებული ნორმა. თუ 1972 წელს საშუალოდ თითო კოლმეურნემ 118 კაცდღე გამოიმუშავა, 1975 წელს ამ მაჩვენებელმა 154-ს მიაღწია. ეს წარმატებანი უწინარეს ყოვლისა განპირობებულია კოლმეურნეობის კომუნისტთა თავდადებული შრომით, კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ზრდით უკანასკნელი წლების მანძილზე.

სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საფუძველია პარტიული დისციპლინა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი პარტიის წესდებისა და პროგრამის მოთხოვნათა განხორციელება. პარტიულმა ორგანიზაციებმა მკაცრად უნდა მოჰკითხონ თითოეულ კომუნისტს, რა თანამდებობაც უნდა ეკავოს მას, რომ ზუსტად და დროულად ასრულებდეს წესდების მოთხოვნებს. კომუნისტთა პირადმა მაგალითმა უნდა შეაკავშიროს მასები სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

ახლა კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციაში 126 კომუნისტია, აქედან 117 უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშია დასაქმებული. კოლმეურნეობის 37 მეცხოველიდან 16 კომუნისტია. შვიდიდან ხუთ საწარმოო ბრიგადას კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

დიდია კოლმეურნეობის კომუნისტთა ავანგარდული როლი. ისინი აქტიურად შრომობენ თავიანთ უბნებზე, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს. თუ 1975 წელს კოლმეურნის საშუალო გამომუშავება 154 კაცდღე იყო, კომუნისტთა საშუალო გამომუშავებამ 199 კაცდღე შეადგინა.

ეს ციფრები მკაფიოდ ადასტურებენ რაოდენ ბრძოლისუნარიანია კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც რაზმავს ადამიანებს და კომუნისტთა პირადი მაგალითით მოუწოდებს სოფლის მშრომელებს მათ წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციამ კოლმეურნეობაში შრომითი აღმავლობის ატმოსფერო შექმნა. კოლმეურნეობის კომუნისტებისათვის დამახასიათებელია მინდობილი საქმისთვის პირადი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება.

დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასოფლო და სადაბო საბჭოები. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, თვითონ დეპუტატები კიდევ უფრო ნაყოფიერად უნდა მუშაობდნენ სოფლის მშრომელებთან, განსაკუთრებით იმათთან, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. ზარმაცების, წამგლეჯების, სპეკულანტების გარშემო შეუწყნარებლობისა და ზიზღის ატმოსფერო უნდა შევქმნათ. ახლა ეს უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა.

მეურნეობის წამყვანი დარგია მესიმინდეობა. სწორედ ამ დარგშია მიღწეული დიდი წარმატებები. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სიმინდის მარცვლის წარმოების მეცხრე ხუთწლედის გეგმა და სახელმწიფოს მიჰყიდა 4.870 ტონა მარცვლეული — 269 ტონით მეტი, ვიდრე მერვე ხუთწლედში.

წინათ მხოლოდ ცალკეულ კოლმეურნეებს თუ მოჰყავდათ ხოლმე სიმინდის უხვი მოსავალი. ახლა მოწინავეთა რიგები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 252 კოლმეურნიდან 143-მა ჰექტარზე მიიღო 50 ცენტნერზე მეტი სიმინდის მარცვლეული, ხოლო ჩვიდმეტმა კოლმეურნემ 80 ცენტნერიც მოიწია.

მადლობა გვეთქმის ცნობილი მესიმინდე ოსტატების — მიტროფანე ძიძიგურის, ჰიჭიკო ჯამაშურიას, ილია, ბარდღმ, ლენიკო მიგინეიშვილების, შოთა გულდავას, ილიკო ცომაიას, ზინო ქორდანიას, პროკოფი ქლენტის და სხვა მრავალის მიმართ. კოლმეურნეობაში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ეთერზეთოვანი კულტურების უხვი მოსავლის მოყვანაც. მეცხრე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით სახელმწიფოსათვის ეთერზეთოვანი ნედლეულის მიყიდვა 2.081 ტონით გაიზარდა. მარტო შარშან ამ ნედლეულის მიყიდვის გეგმა ერთიორად და მეტი გადაჭარბებით შესრულდა. რეკორდულ შედეგებს მიაღწია კოლმეურნე ზაურ მიგინეიშვილმა, რომელმაც ჰექტარზე საგეგმო 95-ის ნაცვლად 500 ცენტნერი რეჰანის მწვანე მასა მიიღო.

ფართოდ გავრცელდა კოლმეურნეობაში წინათ ჩამორჩენილი დარგი — მებოსტნეობა. 1975 წელს აქ აწარმოეს 2.295,8 ცენტნერი ბოსტნეული საგეგმო 1295 ცენტნერის ნაცვლად. კარგ შედეგებს მიაღწია წლეულს კარლო გრიგოლიას ბრიგადამ. მან უკვე მოკრიფა 10 ათასი ცენტნერი ბოსტნეული საგეგმო 4.112-ის ნაცვლად. მეურნეობაში წარმოებული მთელი ბოსტნეულის 90 პროცენტზე მეტი ამ ბრიგადის წილად მოდის. ეს შესაძლებელი გახდა შიდასამეურნეო სპეციალიზაციის განხორციელების შედეგად.

გვახარებს მეცხოველეთა წარმატებებიც. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში წარმოებულია 2.469 ცენტნერი რძე — 100 ცენტნერით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს იყო წარმოებული.

წარმატება თავისთავად როდი მოვიდა. ეს იმის შედეგია, რომ გაუმჯობესდა მთელი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რომლის ძირითადი რგოლია სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაცია, მასობრიობა და ქმედითობა. სწორედ მისმა საჯაროობამ, შედეგების შესადარობამ, მატერიალურმა და მორალურმა სტიმულირებამ უზრუნველყვეს გადიდებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება.

კოლმეურნეობის ვეტერანებთან ერთად თავიანთი წვლილი შეაქვთ საერთო მიღწევებში კომკავშირლებსა და ახალგაზრდობას. ქება გვეთქმის კომკავშირელ ნინო აბუსერიძეზე, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მეურნეობაში დარჩა სამუშაოდ და პირველი ტრაქტორისტი გოგონა გახდა. წელს მან ვალდებულება იკისრა გეგმის გადაჭარბებით მოხნას 450 ჰექტარი. სასიხარულოა ისიც, რომ ბევრმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა გადაწყვიტა მიბაძოს ნ. აბუსერიძის მაგალითს.

უკანასკნელ წლებში აბაშის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ცხადად იგრძნობა ინიციატივიანობა, ყოველივე ახლისა და პროგრესულის ძიება.

აი უკვე ორი წელია, რაც რაიონში შეიქმნა მართვის ახალი სისტემა — სოფლის მეურნეობის მართვის რაიონული გაერთიანება. რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გააანალიზეს სოფლის მეურნეობის საერთო მდგომარეობა, აგრეთვე მართვის ორგანოების მუშაობა, გაითვალისწინეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების წინადადებანი და დაასკვნეს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციას აბრკოლებს უწყებრივი დაქსაქსულობა. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა მოცემული რაიონისათვის დამახასიათებელი დარგების განვითარებას. რაიონისათვის დიდმნიშვნელოვანი ბევრი პრობლემა კომპლექსური შესწავლისა და ეკონომიური დასაბუთების გარეშე წყდებოდა.

ხელმძღვანელობის ოპერატიულობის გაზრდის მიზნით სოფლის მეურნეობის მართვის ახალ გაერთიანებას დაექვემდებარა „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილება, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის რაიონული სამმართველო, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები.

სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების შექმნამ ხელი შეუწყო ხელმძღვანელობის ოპერატიულობის გაზრდას, შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების უფრო ეფექტიან გამოყენებას, რამაც საბოლოო ანგარიშით, გაზარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

რაიონში ყველა პირობაა შექმნილი, რომ ერთსა და იმავე ფართობზე ორჯერ იქნეს მიღებული ბოსტნეულისა და საკვები კულტურების მოსავალი. ახლა ფართო მასშტაბით ინერგება ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომ ზრდას.

დიდი მნიშვნელობა აქვს მესიმინდეობაში კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. ახლა სიმინდის მოვლა-მოყვანაში კომპლექსური მექანიზაცია ხორციელდება 1.500 ჰექტარზე. სასიხარულოა, რომ ამ ფართობზე მცენარე გულმოდგინედ არის მოვლილი, და მესიმინდეები უხვ მოსავალს მოელიან. თუ როგორ ეფექტს იძლევა სიმინდის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია, ჩანს „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილების მექანიზებული რგოლის მაგალითით, რომელსაც ბ. ჩოჩია ხელმძღვანელობს. შარშან რგოლმა ხელის შრომის გამოუყენებლად 50 ჰექტარზე 281 ტონა სიმინდის მარცვალი მოიწია, საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 41,8 ცენტნერი შეადგინა. ცენტნერი სიმინდის თვითღირებულებამ 4 მანეთი და 30 კაპიკი შეადგინა, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი მთლიანად რაიონში 11-13 მანეთს უდრიდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომპლექსური მექანიზაციის დროს ჰექტარზე 19 კილოგრამი თესლი დაიხარჯა, საერთოდ კი 40 კილოგრამი იხარჯება ხოლმე. კომპლექსურმა მექანიზაციამ საშუალება მოგვცა მძიმე შრომისაგან გაგვეთავისუფლებინა დაახლოებით სამოცი კაცი.

კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა არა მარტო წყვეტს საწარმოო ამოცანებს, არამედ დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს.

რაიონში დიდი ყურადღება ეთმობა მელიორაციას, სარწყავი ქსელის მშენებლობას. ახლა ირწყვება სამი ათასზე მეტი ჰექტარი, რომლებზეც ტექნიკური და ბოსტნეული კულტურები მოჰყავთ. მაგრამ ეს ზღვარი არ არის, თქვენ ხომ ყველა პირობა გაქვთ, რომ დიდი კაპიტალური დაბანდების გარეშე გააფართოოთ სარწყავი მიწების ფართობი.

მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევა 1975 წლის დამდეგს შექმნილი საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანება, სადაც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ინტენსიური სუქება წარმოებს. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გაერთიანება იაფი და მაღალხარისხოვანი ხორცის მწარმოებელი მძლავრი ფაბრიკა გახდა.

ფრიად პერსპექტიული აღმოჩნდა აგრეთვე ღორების სასუქებელი საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის ორგანიზაცია. საკმარისია ითქვას, რომ 1975 წელს ფერმამ 100 ათასი მანეთი წმინდა მოგება მიიღო, ხოლო ცენტნერი ხორცის წარმოება გეგმით გათვალისწინებული 163 მანეთის ნაცვლად 115 მანეთი დაჯდა.

ამრიგად, მეურნეობის სწორად გაძღოლამ, არსებული შესაძლებლობებისა და რეზერვების გამოყენებამ მოწინავეთა რიგებში გაიყვანა აბაშის რაიონი, რომელიც ათწლეულების მანძილზე ჩამორჩენილად ითვლებოდა. 1973 წლის შემდეგ რაიონი მესამე წელია ზედიზედ იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამაში დიდი წვლილი შეაქვთ სოფელ ტყვირის კოლმეურნეებს.

წარმოების ზრდასთან ერთად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობაც. მრავალი წლის მანძილზე აბაშის რაიონში თითქმის არაფერი არ შენდებოდა და რატომღაც მიაჩნდათ, თითქოს ამის შესაძლებლობა არ იყო. მაგრამ უკანასკნელ წლებში რაიონი დიდ სამშენებლო მოედნად გადაიქცა. აქ აშენდა ბევრი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი შენობა, შესანიშნავი ქორწინების სასახლე, სასტუმრო. დაიწყო კვების კომბინატის აგება, გადაწყდა შეუდგნენ კულტურის სახლის, 1200 მოსწავლისათვის გათვალისწინებული და სპორტული დარბაზით, საცურაო აუზით აღჭურვილი სკოლის შენობის მშენებლობას.

აბაშის რაიონის მშრომელები წელსაც დამკვრელურად მუშაობენ. კარგ მდგომარეობაშია სიმინდის, სხვა კულტურების ნათესები. ეს ჩინებული წანამძღვარია იმისათვის, რომ რაიონმა პირნათლად შეასრულოს გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც მეათე ხუთწლედის პირველი წლისათვის იკისრეს. აბაშელები 14 ათასი ტონის ნაცვლად 20 ათას ტონა სიმინდის მარცვალს მოიწევენ, თანაც მისი საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 40 ცენტნერი იქნება, რაც 13 ცენტნერით აღემატება გეგმას. ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება მიაღწევს 6.000 ტონას — გეგმით გათვალისწინებულზე 2.100 ტონით მეტს. უახლოეს დღეებში შესრულდება სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა. ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ შესრულდება წარმოების სხვა დარგებში ნაკისრი ვალდებულებანიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ ამოცანების უთუო შესრულებას, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ დასახა. აბაშის რაიონის მშრომელთა მაღალი ვალდებულებანი საქმიანი, კონკრეტული პასუხია ამ დადგენილებაზე.

მინდა გამოვთქვა ღრმა რწმენა, თქვა დასასრულ ამხ. პატიაშვილმა, თქვენს კვალდაკვალ რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ ინიციატივას განაგრძობს ჩვენი რესპუბლიკის ყველა სოფლის მშრომელი. როგორც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოფლად დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას, რადგან ამაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროდუქციის წარმოების ზრდა და, მაშასადამე, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაც.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გამიზნული, უკომპრომისო ბრძოლა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წამოიწყო, ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო საქმე გახდა. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატება უდავოდ სასარგებლო ნაყოფს იძლევა: აჯანსაღებს მორალურ კლიმატს, ახალისებს მშრომელებს, ზრდის მათს შრომისუნარიანობას, საკუთარი შრომის შედეგებისადმი რწმენას. და ყოველი ჩვენგანის, თვითეული კოლექტივის, თვითეული პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის ვალია, კი არ შეასუსტოს, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ; უპატიოსნო, ხარბი, იოლი გამდიდრების მოყვარული ადამიანების, სპეკულანტების, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც პარაზიტულად ცხოვრობს.

ამხ. პატიაშვილმა ახალი დიდი შრომითი წარმატებები და პირად ცხოვრებაში ბედნიერება უსურვა კოლმეურნეებს.

## ჩვენი შრომითი ღირსების საქმე

კოლმეურნეები, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდისათვის ბრძოლაში, ორიენტაციას იღებენ კონცენტრაციაზე, სპეციალიზაციასა და ინტენსიფიკაციაზე, მეცნიერებასთან და მოწინავე პრაქტიკასთან მეგობრობაზე, ყოველივე იმ ახლის, მნიშვნელოვანის ეფექტიან გამოყენებაზე, რაც სოციალისტურმა შეჯიბრებამ შვა. ყოველივე ამის მიღწევა შეუძლებელია მტკიცე შრომითი და საწარმოო დისციპლინის, მინდობილი საქმისათვის, უხვი მოსავლის მიღებისათვის, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, სახელმწიფოსთვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმებისა და ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გარეშე.

სანაშენე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელი საკოლმეურნეობათაშორისო ფირმის გამგემ, სოციალისტური შრომის გმირმა ელპინე არველაძემ თქვა:

რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ ინიციატივას შრომისა და საწარმოო დისციპლინის ამაღლების შესახებ ფართოდ დაუჭირეს მხარი ჩვენს კოლმეურნეობაში, ჩვენ, ტყვირელ მშრომელებს, კარგად გვესმის, რომ ამ პატრიოტული ინიციატივის განხორციელება მოითხოვს როგორც მთელი ჩვენი კოლექტივის, ისე თვითეული კომუნისტის, თვითეული სოფლის მშრომელის მაღალ შეგნებას და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას.

ტყვირის კოლმეურნეობა ყოველთვის რაიონის მოწინავე მეურნეობათა შორის იყო, მაგრამ განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოვიპოვეთ უკანასკნელ წლებში. სიმინდის მარცვლის, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში ჩვენ ჩვენი რეკორდსმენები გვყავს. მაგრამ უხვი მოსავლის ოსტატებთან ერთად მეურნეობაში არიან ჩამორჩენილებიც. აი რატომ არის, რომ რუსთაველთა დევიზი — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!" — ჩვენი დევიზიც უნდა გახდეს. არც ერთი სამუშაო დღე, არც ერთი სამუშაო საათი არ უნდა იკარგებოდეს ფუჭად. ჩვენი შრომითი ღირსების საქმეა შევასრულოთ ხუთწლედის პირველი წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმები და ვალდებულებანი.

ერთ-ერთი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა უთუოდ შეუწყობს ხელს საკოლმეურნეო წარმოების ახალი წარმატებების მიღწევას — ეს არის დისციპლინის განმტკიცება, რომელსაც საფუძვლად დაედება მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება. სწორედ ეს მოთხოვნები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ სიმწიფესთან, შემოქმედებითსა და საქმიან თავდადებასთან, ჩამოაყალიბა თავის გამოსვლაში კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ჭ. ჯამაშურიამ.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, თქვა მან, მეურნეობაში განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ვიყენებთ მოწინავე კოლმეურნეთა მორალური და მატერიალური წახალისების ახალ ფორმებს. შეჯიბრების ავანგარდში კომუნისტები არიან. მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ იდეოლოგიური, აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის დონე, თავდაუზოგავად შრომობენ და კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტები ი. მიგინეიშვილი, ე. არველაძე, მ. ძიძიგური, ჯ. ფიფია, ზ. მიგინეიშვილი, ი. ჭანტურია და სხვები.

დიდი ყურადღებით მოუსმინეს მებოსტნეობის ბრიგადის ხელმძღვანელს კ. გრიგოლიას, რომელმაც თქვა, თუ რა ცვლილებები მოხდა მშობლიურ სოფელში უკანასკნელ წლებში. თუ წინათ სოფელი მარანი, რომელიც ამჟამად სოფელ ტყვირის კოლმეურნეობაში შედის, აღნიშნა მან, ცნობილი იყო რაიონში ყველაზე მწირი მოსავლით, ახლა ჩვენი მიწათმოქმედების შრომითი დიდება რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა. მიხარია, რომ ჩვენი მინდვრებისა და ბოსტნების, მეცხოველეობის ფერმების პროდუქციის მომხმარებელთა შორის არიან მოსკოველი და თბილისელი მშრომელები, რესპუბლიკის კურორტების დამსვენებლები.

ჩვენს მეურნეობაში დავიწყეთ საწარმოო დისციპლინის საკითხების გადაწყვეტა. კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწიეს კოლმეურნეთა მატერიალური და მორალური დაინტერესების გასადიდებლად. გაიზარდა შრომის გარანტირებული ანაზღაურებაც. ჩვენ ყველანი ახლა უკეთ ვცხოვრობთ, და თუ წინათ ბევრ ჩემს თანასოფლელს (რა დასამალია, მათ შორის მეც) რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაჰქონდა ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, ახლა ამას არავინ არა შვრება.

კოლმეურნეობაში განმტკიცდა სახელმწიფო დისციპლინა. სოფლად აღარ არის სამართალდარღვევის შემთხვევები. ეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია.

დღეს ამ საერთო კრებაზე მთელი ჩვენი ბრიგადის სახელით ვაცხადებ, რომ მიღწეული წარმატება ზღვარი არ არის. გათვალისწინებული გვაქვს უკვე გაისად ვაწარმოოთ 20 ათასი ცენტნერი ბოსტნეული — ორჯერ მეტი, ვიდრე წელს, ხოლო მეათე ხუთწლედის დამლევისათვის ეს მაჩვენებელი 30 ცენტნერამდე გავზარდოთ და ხუთწლედი ოთხ წელიწადში დავამთავროთ.

მეურნეობის კომკავშირლების და ახალგაზრდების წვლილზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში ილაპარაკა ახალგაზრდა ტრაქტორისტმა ნ. აბუსერიძემ. — ყველგან ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, თქვა მან, რომლის დევიზია: „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და ძიება".

ჩემი თანასოფლელების პატრიოტული თაოსნობა ახალ ამოცანებს უსახავს კომკავშირლებსა და ახალგაზრდობას. დღეს რაიონის ქალიშვილებს შორის მე ერთადერთი ტრაქტორისტი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მალე ჩემს მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

ჩვენი რაიონის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა დიდი აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილი კასტრომის ოლქის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შეკრების მონაწილეებისადმი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში იმუშაონ. თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი რაიონის ქალიშვილები და ჭაბუკები. ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა მექანიზატორი გახდეს.

აი უკვე 35 წელია კოლმეურნეობაში ვმუშაობ, თქვა მესიმინდე გ. პიტავამ, — მაგრამ ასეთი შრომითი ენთუზიაზმი, ასეთი მისწრაფება უხვი მოსავლის მიღებისათვის, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ჯერ არ მინახავს. ეჭვი არ მეპარება, რომ ბრძოლა, რომელიც გაჩაღდა დისციპლინის განმტკიცებისათვის, მიწათმოქმედების შრომისა და კულტურის მაღალი ორგანიზაციისათვის, კარგ ნაყოფს გამოიღებს.

შარშან ჩემთვის გამოყოფილ ნაკვეთზე — 1,3 ჰექტარზე 92,7 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მივიღე, რაც 53 ცენტნერით აღემატება დავალებას. ეს კარგია, მაგრამ წელს მეტს უნდა მივაღწიო. უკვე ვიკისრე ვალდებულება, რომ გაპიროვნებულ ნაკვეთზე 95 ცენტნერი მარცვალი მივიღო. უხვ მოსავალს უნდა იწევდეს ყოველი ჩვენი მესიმინდე.

## დასახულს მივაღწევთ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა სულ უფრო სტაბილური ხდება და განუხრელად ამაღლებს თავის საერთო კულტურას. მას საფუძვლად უდევს მაღალი შრომის დისციპლინა, თვითეული მშრომელის მიერ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება, მწყობრი მუშაობა, მეურნეობრივი ინიციატივა და საზრიანობა, წარმოების ყველა რგოლის ურთიერთმოქმედება. ამიტომ არის, რომ წარმატებით სრულდება სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი. ამაზე დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მგელაძემ.

რაიონის კომუნისტთა ღონისძიებები, თქვა მან, მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციას, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის, ჰექტარობრივი მოსავლიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდას, სიმინდის მოვლა-მოყვანაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას.

მესიმინდეებს გადაწყვეტილი აქვთ წლეულს ჰექტარობრივი მოსავლიანობა 40 ცენტნერამდე გაზარდონ, სამი წლის წინათ კი ეს მაჩვენებელი 12 ცენტნერს არ აღემატებოდა.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენ უნდა ვაწარმოოთ 22 ათასი ტონა სიმინდის მარცვალი, 6 ათასი ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული, 4 ათასი ტონა ბოსტნეული. ამ გადიდებულ ვალდებულებათა შესრულება ჩვენი სოფლის მშრომელების ღირსების საქმეა.

რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივას — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით", — თქვა შემდეგ ამხ. გ. მგელაძემ, — მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენს რაიონში. ამ ინიციატივის განხორციელებას პირველმა მოჰკიდეს ხელი სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც აი უკვე რამდენიმე წელია სათავეში უდგანან რაიონის მოწინავე მეურნეობებს.

გ. მგელაძის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომ დახვეწას, კადრების სწორად შერჩევასა და აღზრდას, გადიდებული ვალდებულებების შესრულებისათვის, მეათე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებას.

იგი შეეხო აგრეთვე სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის განვითარების პერსპექტივებს.

როგორც გამოსვლაში აღინიშნა, რაიონის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისადმი ახლებური მიდგომა, მისი უფრო ღრმა სპეციალიზაცია, მეურნეობათა ღონისძიებების გაერთიანება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართოდ გამოყენების მიზნით.

აი მალე ერთი თვე იქნება, ძვირფასო მეგობრებო, რაც აბაშის რაიონში ვარ, თქვა მწერალმა კ. ლორთქიფანიძემ. მე თქვენთან ჩამოვედი, რათა საკუთარი თვალით ვნახო თქვენი დღევანდელი დღე, ჩავწვდე თქვენს ნათელ ოცნებებს. და მინდა მოგახსენოთ, რომ რაც ვნახე და გავიგონე აქ, რაიონის სოფლებში, გაზვიადებული არ გეგონოთ, ჭეშმარიტი სასწაულია.

რამდენი შრომა იყო საჭირო, რომ ცხოვრების დარღვეული რიტმი მწყობრი გამხდარიყო, რომ მშრომელებს კვლავ აღდგინათ მომავლის რწმენა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია დიდი საქმეები. ილია ჭავჭავაძეს უთქვამს, ადამიანი იმისათვის იბადება, რომ ორი მარცვალი მოიყვანოს იქ, სადაც მხოლოდ ერთი მოდიოდაო.

ერთმა აბაშელმა გლეხმა — ჰიჭიკო ჯამაშურიამ — ჩემთან საუბარში თქვა: „მიწას რამდენსაც მოსთხოვ, იმდენს მოგცემს, მაგრამ უნდა იმუშაო, დაუშრომლად უნდა იმუშაო". კარგი ნათქვამია! ალბათ, უკეთ ვერც გამოთქვამ მიწისა და ადამიანის ოდინდელ და განუყრელ ერთობას. ალბათ ასე ფიქრობდნენ სოფელ ტყვირშიც, როცა კოლმეურნეებმა ოცნება სინამდვილედ აქციეს. და ჯილდომაც არ დააყოვნა. ჯილდომ? არა, მეგობრებო, ნდობამ და პატივმა. არა მგონია საქართველოში ბევრი იყოს ისეთი სოფელი, რომელსაც ამდენი უფლება ჰქონდეს, რომ პატრიოტული თაოსნობის მედროშედ მოგვევლინოს. მე, ძვირფასო მეგობრებო, ცუდად არ ვიცნობ დასავლეთ საქართველოს სოფლებს, მაგრამ ის, რაც აბაშის რაიონში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

ჩვენ ზოგჯერ გვავიწყდება, რომ არის ორი სათაყვანო რამ, რასაც არ შეიძლება უღალატო: ბრძოლის ველზე დაღვრილი სისხლი და მუშა კაცის ოფლი. ამაზეა დაფუძნებული ჩვენი ცხოვრება. სწორედ ეს უდევს საფუძვლად იმ მიღწევებს, რომლებმაც წინათ ჩამორჩენილი რაიონი ყველაზე მოწინავე გახადა. მოხარული ვარ, რომ თქვენს კრებას ვესწრები, სულით და გულით გისურვებთ, რომ თქვენი თაოსნობა ყველა ქართულმა სოფელმა გაიზიაროს.

სახელმწიფო უდიდეს სახსრებს გამოჰყოფს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყაირათიანად, რაც შეიძლება მომგებიანად გამოვიყენოთ მზარდი მატერიალურ-ტექნიკური სიმძლავრე, განუხრელად გავზარდოთ წარმოება, გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები. კოლექტივის საერთო წარმატება დამოკიდებულია თვითეულის შრომაზე, მუშაობის მინდობილი უბნისათვის პასუხისმგებლობაზე, იმაზე, თუ რამდენად უფრთხილდება მიწათმოქმედი თუ მეცხოველე თავის შრომითს ღირსებას. ამაზე, აგრეთვე პირად გეგმებსა და ვალდებულებებზე ილაპარაკეს კრებაზე საკოლმეურნეობათაშორისო ფირმის მეხბორემ ნ. ჯანელიძემ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. მიქაძემ, მესიმინდე ი. მიგინეიშვილმა, საშუალო სკოლის დირექტორმა მ. თელიამ, აგროუბნის უფროსმა ი. ნინუამ.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

კრებამ მიიღო მიმართვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი.

(საქინფორმი).

---

ოფიციალური განყოფილება

# დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის რკინიგზის ელექტრიფიკაციის ორმოცდამეათე წლისთავის გამო და რკინიგზის ტრანსპორტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

**ანდღულაძე** ვილჰელმ ლეონტის-ძე — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწე.

**ბიბილაშვილი** დავით ირაკლის-ძე — რუსთავის წევის ქვესადგურის უფროსი.

**ბაბუნაშვილი** თეიმურაზ პავლეს-ძე — საგზაო ელექტროტექნიკური ლაბორატორიის უფროსი.

**ბურჯანაძე** პავლე მოსეს-ძე — გორის წევის ქვესადგურის უფროსი.

**გასიტაშვილი** ნიკოლოზ დავითის-ძე — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

**გირკელიძე** ნოდარ ნიკოლოზის-ძე — ა/კ რკინიგზის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

**ვაჩიბერიძე** გრიგოლ სერგოს-ძე — ა/კ რკინიგზის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი.

**ილურიძე** დიმიტრი ქიტესას-ძე — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი.

**კიკალიშვილი** ყორა კალისტრატეს-ძე — ენერგომომარაგების სამტრედიის უბნის უფროსი.

**მაჩხანელი** ვახტანგ ივანეს-ძე — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალი.

**ნოზაძე** უშანგ ესას-ძე — ენერგომომარაგების თბილისის უბნის ელექტრომონტიორი.

**ფრანგიშვილი** ვაჟა გრიგოლის-ძე — ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის სამსახურის ტექნიკური განყოფილების უფროსი.

**ქვირია** გენო ლევანის-ძე — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

**ყიასაშვილი** თეიმურაზ დავითის-ძე — საგზაო ლაბორატორიის ელექტრომონტიორი.

**ხიზანიშვილი** გიორგი ვასილის-ძე — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

# საპატიო წოდებების მინიჭება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის რკინიგზის ელექტრიფიკაციის ორმოცდამეათე წლისთავის გამო, რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდება:**

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:**

**ბარბაქაძეს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ინჟინერს

**გაცოლაევს** ახსარბეგ ბათარბეგის-ძეს — თბილისის განყოფილების ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის განყოფილების უფროსს

**გვაზავას** კლიმენტ ანდრიას-ძეს — სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის უფროს რევიზორს

**გოგორიშვილს** შოთა ივანეს-ძეს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მიმღებს

**გულიევს** ივანე გრიგოლის-ძეს — ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილეს

**დოლიძეს** ნოდარ არჩილის-ძეს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილეს

**თოფურიძეს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს უფროსს

**კაციტაძეს** ლუბა ვლადიმერის ასულს — პენსიონერს

**კილასონიას** ამბროსი მაქსიმეს-ძეს — სამტრედიის განყოფილების ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის განყოფილების უფროსს

**მაღლაკელიძეს** ედიშერ ილიას-ძეს — ენერგომომარაგების თბილისის უბნის უფროსს.

**ქორიძეს** გიორგი გერასიმეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ენერგომომარაგების სოხუმის უბნის უფროსს.

**ციცქიშვილს** ამირან გერონტის-ძეს — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის დირექტორს, ელექტრიფიკაციის სამსახურის განყოფილების ყოფილ უფროსს.

**ჰიპაშვილს** გიორგი აბესალომის-ძეს — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის მთავარ ინჟინერს.

**საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკისა:**

**ბერიძეს** შოთა გიორგის-ძეს — ენერგომომარაგების თბილისის უბნის უფროს ელექტრომექანიკოსს.

**გაბელაიას** გივი შალვას-ძეს — ენერგომომარაგების სოხუმის უბნის ელექტრომონტიორს.

**გელაშვილს** სერაფიონ ნიკოლოზის-ძეს — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**გრიგოლიას** ბიჭიკო ნიკოლოზის-ძეს — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**გუნიავას** რეზო გიორგის-ძეს — ენერგომომარაგების სამტრედიის უბნის ელექტრომონტიორს.

**ვეფხვაძეს** ბახო ერმალოს-ძეს — ენერგომომარაგების სამტრედიის უბნის ელექტრომონტიორს.

**კობახიძეს** ლუბა გრიგოლის ასულს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს საანგარიშო ჯგუფის უფროსს.

**კოჭლამაზაშვილს** სანდრო ალექსის-ძეს — ენერგომომარაგების სოხუმის უბნის ელექტრომექანიკოსს.

**კუპრაძეს** იური გიორგის-ძეს — ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**ლიპიცკის** ვლადიმერ ივანეს-ძეს — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალს.

**ლურსმანაშვილს** არჩილ თევდორეს-ძეს — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის უფროს ელექტრომექანიკოსს.

**რევიშვილს** ტიტე ერმალოს-ძეს — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**სოსელიას** ტერენტი თედეს-ძეს — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწეს.

**ფილიშვილს** ექვთიმე თევდორეს-ძეს — ენერგომომარაგების სოხუმის უბნის ელექტრომექანიკოსს.

**ქარქაშაძეს** ავთანდილ ვლადიმერის-ძეს — ენერგომომარაგების სამტრედიის უბნის უფროს ელექტრომექანიკოსს.

**შენგელიას** ოთარ გრიგოლის-ძეს — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**ცანავას** ილია კონსტანტინეს-ძეს — ბათუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**წულაიას** ივანე თევდორეს-ძეს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მორიგეს.

**წულაძეს** კუკური პროკოფის-ძეს — ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**ხაჩიძეს** სარდიონ შალვას-ძეს — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის ელექტრომექანიკოსს.



# დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

„კომუნისტი“ — მკითხველებს

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, 22 ივლისს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა სპეციალური გვერდი ანშლაგით: „დ ა ვ ა მ კ ვ ი დ რ ო თ მ უ შ ა ო ბ ი ს ლ ე ნ ი ნ უ რ ი ს ტ ი ლ ი!“ რედაქციის ტრადიციულ მრგვალ მაგიდასთან შეხვედრაზე მოწვეულმა პარტიულ მუშაკთა ერთმა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, რომ ხშირად იბეჭდებოდეს წერილები, რომლებიც ფართოდ განაზოგადებს პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მოღვაწეობის დადებით გამოცდილებას, მუშაობაში ნამდვილად პარტიული, ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის სწრაფვას.

და აი ამ დღეებში, როცა რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებისა და მის შესასრულებლად მიღებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებების სულისკვეთებით ცხოვრობენ, ჩვენს სარედაქციო ფოსტაში ბევრი საინტერესო წერილი მოდის პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებიდან. ბევრი მათგანი, შეძენილ დადებით გამოცდილებას რომ განაზოგადებს, შეიცავს აგრეთვე საყურადღებო რჩევას, წინადადებას, თუ როგორ გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ჩვენი შრომის, ცხოვრების ყველა უბანზე, როგორ დავამკვიდროთ მუშაობის ჭეშმარიტად ლენინური სტილი.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ სტატიას, რომელშიც დოკუმენტური ფაქტების გამოყენებით მოთხრობილია ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის სტილზე.

# ვსწავლობდეთ ლენინისაგან

მარტო იმის ცოდნას კი არა, თუ რას ამბობდა და წინასწარ ჭვრეტდა დიდი ლენინი, არამედ იმის ცოდნასაც, თუ როგორ მუშაობდა იგი, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საერთოდ კადრებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშაკებისათვის, როგორია ბელადის მუშაობის სტილის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები? აი, ზოგიერთი მათგანი:

ვლადიმერ ილიას-ძე მარტო თავის დროს კი არ უფრთხილდებოდა, არამედ სხვისასაც. იგი არასოდეს და არსად იგვიანებდა. სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებზე მუდამ დანიშნულ დროს ან რამდენიმე წუთით ადრე მიდიოდა. სხდომები მისი ხელმძღვანელობით ზუსტად დანიშნულ საათზე იწყებოდა. იმ ამხანაგების გვარები, რომლებიც სხდომებზე იგვიანებდნენ, ოქმში შეჰქონდათ, თანაც აღნიშნავდნენ, ვინ და რამდენ წუთს დაიგვიანა. არასაპატიო მიზეზით განმეორებით დაგვიანებისას დაგვიანებულს ბელადი საყვედურს უცხადებდა, თანაც აფრთხილებდა, რომ შემდეგში გამოცხადებული საყვედურის თაობაზე პრესაშიც გამოაქვეყნებდნენ ცნობას.

ლენინი მუდამ იმას ცდილობდა, რომ სხდომებზე ზედმეტი ამხანაგები არ ყოფილიყვნენ, იგი, ჩვეულებრივ, არ შედიოდა იმ ოთახში, სადაც მომხსენებლები ელოდნენ. ერთხელ გვიან, საღამოს, შემთხვევით გავლისას დაინახა, რომ ეს ოთახი სავსე იყო გამოძახების მომლოდინე დაღლილი ადამიანებით. ვ. ი. ლენინი განრისხდა. დაგმო რა ასეთი უგუნური წესი, მისცა კონკრეტული მითითებები, თუ როგორ მოეწესრიგებინათ ეს საქმე. 1921 წლის 13 ოქტომბერს იგი სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველს გორბუნოვს სწერს: „...ახლა მომხსენებლები გამოწვევას ელიან საერთოდ სხდომაზე და საათობით იცდიან.

ეს უმსგავსობა და ველურობაა.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომხსენებლების გამოწვევა ხდებოდეს ერთი ნახევარი საათისათვის.

...სწორი განაწილებისას შეიძლება მივაღწიოთ და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომხსენებლები 15 წუთზე მეტს არ იცდიდნენ“.

სხდომების, თათბირების ორგანიზებულად წარმართვის ერთ-ერთი პირობაა რეგლამენტის დაცვა. ბელადი ვერ იტანდა ზოგად მსჯელობებს. ასეთ შემთხვევაში მომხსენებელს ესროდა რეპლიკას: „ამხანაგო, აქ მიტინგი არ არის, არავინ არ საჭიროებს აგიტაციას, ილაპარაკეთ მხოლოდ საქმეზე“. იგი ორატორებისაგან მოითხოვდა მოკლე და კონკრეტულ წინადადებებს. სახკომსაბჭოს სხდომებზე იცავდნენ, მაგალითად, ასეთ რეგლამენტს, შემუშავებულს ვ. ი. ლენინის მიერ 1919 წლის აპრილში: მომხსენებლებს — 10 წუთი, ორატორებს პირველად — 5, მეორედ — 3 წუთი. გამოსვლა სულ ორჯერ. დღის წესრიგის 1 მომხრეს და 1 მოწინააღმდეგეს თითო წუთი.

ძნელი იყო ასეთ ჩარჩოში ჩატევა და ხდებოდა, რომ ერთი წუთით მაინც სიტყვის გაგრძელებისათვის სახკომსაბჭოს ესა თუ ის წევრი ილებდა სიტყვას „დღის წესრიგის გამო“, მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძე ამჩნევდა მას, თანაც უხსნიდა, ეს წესრიგი კი არა, უწესრიგობაა.

ყველაზე მთავარია ის, რომ სხდომებზე საქმიანობის, პრინციპულობის, თანასწორობის, აზრთა თავისუფალი ურთიერთგაზიარების, კრიტიკის ატმოსფერო იყო. თავის შეხედულებებს ლენინი არასოდეს არ ახვევდა სხვებს თავზე, არ თვლიდა მათ უდავო ჭეშმარიტებად. ყოველთვის ყურადღებით რომ ისმენდა გამოსულთა არგუმენტებს, ანგარიშს უწევდა მათ წინადადებებს, იმ შემთხვევაში კი თუ არ ეთანხმებოდა, განუმარტავდა თავიანთი შეხედულებების მცდარობას, მოქმედებდა დარწმუნების პრინციპით.

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა მშრომელთა მიღების საქმეს. 1918 წლის დეკემბერში წერდა, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო მშრომელთა მიღება საბჭოთა დაწესებულებებში, მოითხოვდა, რომ შენობის გარეთაც და შიგნითაც უკლებლივ ყველასათვის მისაწვდომ ადგილზე გამოეკიდათ მიღების წესები, ზუსტად ეჩვენებინათ მთხოვნელთა მიღების დღეები და საათები.

დიდ ბელადს მთხოვნელთა მიღების სპეციალური დღეები არ ჰქონდა, მაგრამ იშვიათად თუ გამოერეოდა ისეთი დღე, რომ მასთან მიღებაზე არ მისულიყვნენ. მისაღებად ეწერებოდნენ მდივანთან, რომელიც ყოველდღე, დილით მოახსენებდა, თუ ვის უნდოდა ლენინის ნახვა და რა საკითხის გამო. ხშირად მიღება თვითონ ლენინის ინიციატივით იმართებოდა. მიღება წარმოებდა დილით და გვიან საღამოს, ყოველთვის უცვლელი რჩებოდა წესი — მთხოვნელები არ იცდიდნენ 5 წუთზე მეტს. ბელადი ჩაინიშნავდა ხოლმე კალენდარზე — აღნიშნავდა მიღებისათვის დანიშნულ ზუსტ დროს (საათები და წუთები). ზოგჯერ, ტელეფონით რომ უთანხმდებოდა მიღებაზე ამა თუ იმ ამხანაგს, თავის საათს მისას უმოწმებდა.

ვ. ი. ლენინის მუშაობის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია ხელმძღვანელობის კოლექტიურობა. იგი ვერ იტანდა ისეთ მდგომარეობას, როცა შეუძლებელია დადგენა, თუ სახელდობრ ვინ და რისთვის არის პასუხისმგებელი, კონკრეტულად ვინ არის დამნაშავე მუშაობაში ამა თუ იმ ჩავარდნისათვის, ვინ აგებს პასუხს უთაორიგობისა და საქმისათვის ზიანის მიყენების გამო. ლენინი მიუთითებდა, რომ ყოველ შემთხვევაში და გამოუკლებლივ ყოველგვარ გარემოებაში კოლეგიალობას თან უნდა ახლდეს ТВИТЕЮЛИ პიროვნების პირადი პასუხისმგებლობის უაღრესი სიზუსტით დაწესება ზუსტად გარკვეული საქმისათვის. უპასუხისმგებლობა, რომელიც იფარება კოლეგიალობის დამოწმებით, ყველაზე საშიში ბოროტებაა.

ცნობილია, რომ არასათანადო მომთხოვნელობა, უკონტროლობა წარმოშობს უბედებს, რომლებიც სიტყვებს ქარს ატანენ. ხელმძღვანელის სიტყვა — მტკიცე სიტყვაა. სანამ სიტყვას იტყვის, დაპირებას მისცემს ვინმეს, მან კარგად უნდა მოიფიქროს, თუ რამდენად რეალურია ეს სიტყვა, აწონ-დაწონოს თავისი შესაძლებლობანი. ხოლო თუ პირობა დადო, ყველაფერი უნდა იღონოს, რომ შეასრულოს. როცა ადამიანის „...სიტყვა სხვაა და საქმე კიდევ სხვა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ეს უკვე სულ არაფრად ვარგა. ეს თვალთმაქცობას იწვევს“.

ასეთი ხელმძღვანელები მრავლად იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში. ისინი სამართლიანად და მკაცრად იქნენ გაკრიტიკებულნი და ბევრი ხელმძღვანელი პოსტებიდანაც გაათავისუფლეს. თუმცა ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც მუდამ ხალისით უპასუხებენ: „შესრულებული იქნება!“ მაგრამ ამის მეტს არაფერს აკეთებენ. ზოგიერთი ემსგავსება ბრიგადირის ცნობილ ტიპს, რომელიც სამუშაოზე გაიფხორება და ხმამაღლა ყვირის: „აბა შევეჭიდოთ! ერთად დავაწვეთ!“ ხოლო, როცა მუშები საქმეს მოჰკიდებენ ხელს, თვითონ გვერდზე გარბის. განა არა გვყავს ისეთი მუშაკები, რომლებიც სხვათაშორის შეივლიან ხოლმე საამქროებში, მინდვრად, მეცხოველეობის ფერმებში, ჩაის პლანტაციებში, თავიანთ საუბარს იწყებენ და ამთავრებენ ფრაზებით: „აბა, როგორ მიდის საქმე?“, „აბა, აბა, თქვენ იცით!“ — და სასწრაფოდ ბრუნდებიან უკან კაბინეტში. სიტყვისა და საქმის ერთიანობა — ეს დიდი ბელადისა და პარტიის მოთხოვნაა და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

პარტიული მუშაკის აუცილებელი თვისებაა — მასების წინაშე გამოსვლა. ვლადიმერ ილიას-ძე დიდ ყურადღებას აქცევდა მშრომელებთან პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლას. მარტო 1918 წლის 12 მარტიდან 1922 წლის 22 ნოემბრამდე იგი დაახლოებით 250-ჯერ გამოვიდა მოსკოვისა და მოსკოვის გარეუბნების მშრომელთა წინაშე. ბელადი მოითხოვდა — ხალხს ვუთხრათ სიმართლე, ველაპარაკოთ პირდაპირ, გვერდი არ ავუაროთ მტკივნეულ საკითხებს.

ვ. ი. ლენინი თავის სიტყვებს არასოდეს არ წერდა. მაგრამ გამოსვლისათვის მუდამ გულდასმით ემზადებოდა, ადგენდა გეგმას. პარტიის ძველი წევრი ლევიტასი იგონებს, რომ 1920 წლის მაისში მას მოუხდა მოხსენებით გამოსვლა მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრებაზე. ტრიბუნაზე რომ ავიდა, ძლიერ ღელავდა და ყველაფერი მართლად, კარგად ვერ თქვა. შემდეგ იქვე მყოფ ვ. ი. ლენინს შეეკითხა:

— ვლადიმერ ილიას-ძევ, თქვენ ღელავთ, როცა გამოდიხართ?

— ლენინმა, რომელიც უკვე გამოსასვლელად ემზადებოდა, ხალხს გადახედა და თქვა:

— მენშევიკები, ესერები და სხვანი, როცა სიტყვით გამოდიან, არ ღელავენ, იმიტომ არ ღელავენ, რომ ადამიანებს, რომელთა წინაშეც ისინი გამოდიან, ზემოდან უყურებენ... მე ადამიანებს ვაფასებ და ამიტომ, როცა გამოვდივარ, რასაკვირველია, ვღელავ ხოლმე.

დიდი ბელადის ეს მღელვარება სავსებით გასაგებია. მას უყვარდა ხალხი, აფასებდა მის ნდობას. თვითეულ გამოსვლას იგი განიხილავდა, როგორც უაღრესად დიდი მნიშვნელობის პარტიულ საქმეს.

პარტიული ხელმძღვანელები ადამიანებს უფროსად კი არ მიაჩნდათ, არამედ პრინციპულ, სამართლიან და კეთილისმსურველ ამხანაგად. დიდი ტაქტი, გულისხმიერება, პატივისცემით მოპყრობა ადამიანებისადმი — აი რა არის მთავარი. ხელმძღვანელი კოლექტივის გული და სინდისია. მასთან მიდიან რჩევისათვის, მას ბაძავენ ყველაფერში. დიდი სულის ადამიანი, გულუხვი მზრუნველი, ყურადღებიანი, თუ გნებავთ, ალერსიანიც ადამიანებისადმი — ასეთი სურთ იხილონ ხოლმე ხელმძღვანელი მუშაკი. მას არ უნდა ეშინოდეს გულთბილი სიტყვისა, ჯანსაღი ხუმრობისა, კეთილი სიცილისა. ეს სრულიადაც არ უშლის ხელს მას, რომ იყოს მომთხოვნი.

მაქსიმ გორკი წერდა: არასდროს შევხვედრივარ ადამიანს, რომელსაც შეხძლებოდეს ისე გულიანად ეცინოს, როგორც იცინოდა ვლადიმერ ილიას-ძე. უცნაურიც კი იყო დანახვა, რომ ისეთ წარბშეკრულ რეალისტ კაცს, რომელიც ასე კარგად ხედავს, ღრმად გრძნობს დიდი სოციალური ტრაგედიების გარდუვალობას, შეუდრეკელს, კაპიტალიზმის სამყაროსადმი თავისი სიძულვილით მუდამ შეურიგებელს, შეეძლო ეცინა ბავშვივით, ცრემლის მოსვლამდე, სიცილით ჩაბჟირებულიყო. დიდი, ძლიერი სულიერი ჯანმრთელობა იყო საჭირო, რომ ასე ეცინა. ძველმა იტალიელმა მეთევზემ, ჯოვანი სპადრომ, რომელმაც ერთხელ ნახა თუ როგორ იცინოდა ლენინი, თქვა მასზე: — ასეთი სიცილი მხოლოდ პატიოსან კაცს შეუძლია.

ყველასათვის ჩვეულებრივი გახდა ლენინის თავმდაბლობა. ამის შესახებ ლაპარაკობენ, წერენ... მაგრამ, სახელდობრ, რით გამოიხატება ლენინის თავმდაბლობა? ტანსაცმლით? ან იქნებ იმით, რომ ის არ იღებდა ძღვნად მირთმეულს, სწყინდა და ბრაზობდა კიდევაც, როცა მას საჩუქრებს მიართმევდნენ ხოლმე? ყველასათვის ცნობილია მისი სიტყვები, წარმოთქმული ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე, შიმშილის წლებში: „ეს ნამცხვარი ყველასათვის არის? არა? მაშ საჭირო არ არის, მოაშორეთ აქაურობას!“.

სამოქალაქო ომის წლებში კრემლში ოთახები ცუდად თბებოდა. ვ. ი. ლენინის კაბინეტში ხშირად ციოდა, ფეხები რომ არ მოჰყინოდა, მაგიდის ქვეშ ქეჩა ეფინა. ერთხელ თავის კაბინეტში რომ მივიდა, ბელადმა ნახა მაგიდის ქვეშ ქეჩის ნაცვლად დათვის ტყავი დაეგოთ. იგი სიბრაზისაგან აენთო: — ვინ მისცათ ნება, ეს რატომ გააკეთეს? საერთო საცხოვრებელში გათბობა არ არის, იქ მუშათა ოჯახები იყინებიან, სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ კი ფეხები ტყავით უნდა გაითბოს: რა საჭიროა ასეთი ფუფუნება! — თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ და ბრძანა დაუყოვნებლივ აეღოთ დათვის ტყავი.

ან იქნებ იმით გამოიხატება ლენინის თავმდაბლობა, რომ წინააღმდეგი იყო ყოველგვარო ქებისა? რომ იმ საღამოზე მისვლაც კი არ ისურვა, რომელიც მის იუბილეს მიეძღვნა? ხოლო როცა მოვიდა და სიტყვა წარმოთქვა, მადლობას ამბობდა, რომ იხსნეს საიუბილეო სიტყვების მოსმენისაგან? ან იქნებ იმიტომ იყო თავმდაბალი, რომ ივიწყებდა პირადულს იქ, სადაც საჭირო იყო ეფიქრა და ეზრუნა საერთო, ყველას კეთილდღეობისათვის? რომ არასდროს და არაფერში პირად ინტერესებს არ აყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა? დიახ, სწორედ ყოველივე ამით არის ჩვენთვის ძვირფასი, უკვდავი და დაუვიწყარი ილიჩი.

თავმდაბლობაზე, უბრალოებაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება მათი გაიგივება გულგრილობასთან, ჩამორჩენილ განწყობილებაზე თამაშთან. ცუდია, როცა ერთნი თავმდაბლობაში გულისხმობენ ლიბერალიზმს, იმის უნარს, რომ დაეთანხმონ ყველას და ყველაფერს. ლენინური გაგებით ასეთ თვისებებს ეწოდება უპრინციპობა.

მუშაობაში ყოველთვის მნიშვნელოვანია ხელმძღვანელის ტაქტი. ყოველ ხელმძღვანელს საქმე აქვს ადამიანებთან. რომ დარაზმო და შეამჭიდროვო ისინი, აუცილებელია სათანადო ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ ამის გარდა საჭიროა ტაქტი. იმის უნარი, რომ სწორი ურთიერთობა დაამყარო მუშაკებთან, რომლებთანაც სულ ერთია როდის, თუ როგორ ეძლევიან, როგორ ელაპარაკებიან. ზოგჯერ ასე ხდება: ხელმძღვანელი მასთან კაბინეტში შესულ ადამიანს დაჯდომას არ შესთავაზებს, ან როცა ადამიანი ელაპარაკება, თვითონ თავი ქაღალდებში აქვს ჩარგული. ზოგიერთი არ ადგება, ხელსაც კი არ ჩამოართმევს ხოლმე მომსვლელს.

ლენინს არ შეეძლო ასე მოქცეულიყო. როცა კაბინეტში მუშა, გლეხი ან წითელარმიელი შედიოდა და გაუბედაობა, მორცხვობა ემჩნეოდა, მაშინვე იგი მაგიდას მოსცილდებოდა, თავისებური სწრაფი ლაპარაკით შემოსულისკენ გაემართებოდა და ეტყოდა: „ჩამოჯექით, ამხანაგო“, და თვითონაც ჯდებოდა, მაგრამ არა მაგიდასთან, არამედ ჭარისკაცის გვერდით. მომსვლელებში ქრებოდა გაუბედაობა, შიში ყოველგვარი ნატამალი და მყარდებოდა უშუალო, გულღია საუბრის ატმოსფერო. ადამიანს, რომელიც ცოტა ხნის წინათ იბნეოდა, ახლა ეჩვენებოდა, რომ იგი უკვე დიდი ხანია იცნობს ამ თავმდაბალ, უბრალო ადამიანს და მას უღერად გული გადუხსნა და თავის ხოლმე ყველაზე ხანუკვარ საიდუმლოებასაც ანდობდა.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ითქვა: „ძირს ქედმაღლობა, ყოყოჩობა... ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ლენინური თავმდაბლობის, პარტიული თავმდაბლობის პრინციპებით!“...

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უდიდეს მუშაობას ეწევიან იმისათვის, რათა კადრები დაეუფლონ ლენინური მუშაობის სტილსა და მეთოდებს. ამ მხრივ მრავალი საინტერესო რამ კეთდება თბილისის, ქუთაისის, ბათუმის საქალაქო, ზუგდიდის, აბაშის, ხონის, გურჯაანის და სხვა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში. ამ საკითხებს მიეძღვნება ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში ახალი სპეციალური სტენდები და გამოფენები: „ვ. ი. ლენინი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორი და ბელადი“, „ვ. ი. ლენინი — ამხანაგი, ადამიანი“, „ლენინური ბილეთი“. მოეწყობა აგრეთვე ლენინური კითხვები.

წინ მეტად პასუხსაგები ამოცანებია, რომლებიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა დასახა, ჭეშმარიტად ისტორიული დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი რომ განიხილა. უმთავრესი ამოცანა კი ის არის, რომ ყოველმხრივ გაუმჯობესდეს ჩვენი კადრების აღზრდისა და სწავლების მთელი საქმიანობა. იგი ისე უნდა წარიმართოს, რომ ადამიანებს, — რა უბანზეც არ უნდა შრომობდნენ ისინი, გამოვუმუშაოთ საუკეთესო თვისებები: ერთგულება, გულწრფელობა, თავმდაბლობა, პრინციპულობა, გულისხმიერება, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი, დაუცხრომელი სწრაფვა ცოდნისადმი.

აი რა ამშვენებდა დიდ ლენინს.

აი რას უნდა ვსწავლობდეთ მისგან!

ფილიპე მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

# მსოფლიოს ასპარეზი

საქდესი და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ფაქტები პრობლემები

11 აგვისტო

## მაყურებელი მოჯადოებულია

### სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ხელოვნება

ვაშინგტონი. უჩვეულოდ თვალწარმტაცი, ხალისიანი და მხიარული დღესასწაული აჩუქეს ვაშინგტონელებს საბჭოთა მომღერლებმა, მოცეკვავეებმა, მუსიკოსებმა — ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში იგორ მოისეევის საერთო ხელმძღვანელობით გახსნილი ხალხთა მეგობრობის ხელოვნების ფესტივალის მონაწილეებმა. ვაშინგტონის კენედის სახელობის ხელოვნების ცენტრის ხალხით გაჭედილ დარბაზში დიდი აღტაცება გამოიწვია „გოპაკმა“ უკრაინის სსრ ვირსკის სახელობის მოცეკვავეთა ანსამბლის შესრულებით, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ცეკვამ „მხედრულმა“, რუსეთის სფსრ პიატნიცკის სახელობის აკადემიური რუსული ხალხური გუნდის მოცეკვავეთა ანსამბლისა და ორკესტრის გამოსვლებმა. ვაშინგტონელები პირველად გაეცნენ საბჭოთა ჩრდილოეთის ხალხთა ხელოვნებას, რომელსაც წარმომადგენლობდა კორიაკთა ეროვნული ცეკვის ანსამბლი „მენგო“, მათ პირველად ნახეს და მოისმინეს აგრეთვე ტაჯიკური, ყირგიზული, ტუვური ცეკვები და სიმღერები. დარბაზში ხშირად გრიალებდა ტაში. ისმოდა შეძახილები „ბრავო“.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კოლექტივების გამოსვლები ამერიკის „საბჭოთა ფესტივალზე“ გააერთიანა გამოჩენილმა საბჭოთა ქორეოგრაფმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ა. მოისეევმა. ჩვენ მიზნად დავისახეთ ამერიკელებისათვის გვეჩვენებინა ჩვენი მრავალეროვნული კულტურის სიდიადე და მრავალფეროვნება, თქვა მან საქდესის კორესპონდენტთან საუბარში. თუ მაყურებელთა შეხვედრით ვიმსჯელებთ, ეს შევძელით კიდევ, რადგან ამერიკელები უაღრესად სტუმართმოყვარულად, ძალზე გულთბილად გვიღებენ.

## პორტუგალია
## სპინოლას დაბრუნება

ლისაბონი. აქ გამოქვეყნდა პორტუგალიის სახმელეთო ძალების მთავარი შტაბის ცნობა, რომ ყოფილი გენერალი ა. დი სპინოლა დღეს ლისაბონში დაბრუნდა. აეროპორტში დაფრენისთანავე დი სპინოლა საზოგადოებრივი უშიშროების პოლიციის აგენტებმა წაიყვანეს კაშიასის საპატიმროში, სადაც მას ამყოფებენ სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებით.

ა. დი სპინოლა 1975 წლის მარტში გაიქცა პორტუგალიიდან მემარჯვენეთა გადატრიალების ცდის ჩაშლის მერე და მას შემდეგ ბრაზილიაში ცხოვრობდა, დროდადრო ჩამოდიოდა ევროპაში. ემიგრაციაში ყოფნისას იგი კვლავ ხელმძღვანელობდა იატაკქვეშა ორგანიზაციებს, რომლებიც პორტუგალიაში კონტრრევოლუციურ გადატრიალებას ამზადებდნენ.

ოფიციალურ წრეებში დაადასტურეს, რომ დი სპინოლას დაპატიმრებაზე გაცემული ორდერი ახლაც ძალაშია. პორტუგალიის პრეზიდენტმა რამალიუ ეანეშმა ამ პოსტზე არჩევიდან ცოტა ხნის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თუ დი სპინოლა პორტუგალიაში დაბრუნდა, მას მოუხდება სასამართლო ხელისუფალთა წინაშე აგოს პასუხი თავისი ნამოქმედარისათვის.

## სტიქიონი ბობოქრობს

ნიუ-იორკი. საქდესის კორ. ი. რომანცოვი იუწყება:

შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს გადაუარა მძლავრმა გრიგალმა „ბელამ“, რომელსაც თან ახლდა კოკისპირული წვიმა. გრიგალმა წყალდიდობა და ნგრევა გამოიწვია ჩრდილოეთ კაროლინის, ნიუ ჯერსის, ნიუ-იორკის, კონექტიკუტისა და როდ-აილენდის შტატებში.

ბევრგან დატბორილია ავტოსტრადების მნიშვნელოვანი მონაკვეთები, დარღვეულია ელექტროენერგიით მომარაგება, გაწყვეტილია კავშირი. მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

მძიმე ღამის გათევა მოუხდათ ნიუიორკელებს. სტიქიური უბედურების შესახებ წინასწარ გაფრთხილებული წყლისპირა რაიონების მცხოვრებნი თავ-თავიანთი სახლებიდან გამოვიდნენ, ბევრი მათგანი სპეციალურ თავშესაფრებში დაიმალა.

ენერგოქსელის დაზიანების გამო დროებით უელექტრონოდ დარჩა 300 ათასზე მეტი კაცი. „ლონგ-აილენდ ლაიტინგ კომპანიმ“, რომელიც ლონგ-აილენდის კუნძულებს, მათ შორის ნიუიორკის გარეუბნებს, უზრუნველყოფს ელექტროენერგიით, წინასწარი შეფასებით, 5-6 მილიონი დოლარი იზარალა გრიგალის შედეგად.

ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქებში მიმავალი მთელი რიგი ავტომაგისტრალები დღეს დაიკეტა იმის გამო, რომ ცალკეული მონაკვეთები დატბორილია, ან გრუნტისა და ნაგვის სქელი ფენით არის დაფარული. დაუკეტავ გზებზე კი დილიდან გაიჭედა მანქანები და უზარმაზარი რიგები დადგა.

როგორც ხელისუფლებმა განაცხადეს, ეს უძლიერესი გრიგალია ამ რაიონში უკანასკნელი 16 წლის მანძილზე.

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში, იმ კითხვის პასუხად, არის თუ არა შანსი, რომ წელს დაიდოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, თქვა: ამას არ გამოვრიცხავ. ჩვენ გადასაჭრელი გვაქვს რამდენიმე საძნელო პრობლემა. მაგრამ დღეს უფრო ახლოს ვართ შეთანხმების მიღწევასთან, ვიდრე წინათ. ვფიქრობ, ურთიერთხელსაყრელი შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შესახებ შეესაბამება შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს უზენაეს ინტერესებს, და ამიტომ განზრახული გვაქვს კვლავაც ვილვაწოთ ასეთი შეთანხმების მისაღწევად.

## ჯ. ფორდის განცხადება

შემდეგ ჯ. ფორდმა განაცხადა: თუ ახალი ვადით ამირჩიეს პრეზიდენტად, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში მთავარი ადგილი დაეთმობა ახალი შეთანხმების დადებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების პროგრესს, ნატოს სამხედრო და სხვა ასპექტებით განმტკიცებას და ახლო აღმოსავლეთის პრობლემების უფრო ფართოდ გადაჭრის საკითხს.

## იტალია
## დიდი გამარჯვება

რომი. ადგილობრივი პრესა დემოკრატიული ძალების დიდ გამარჯვებად მიიჩნევს იტალიის დედაქალაქში ახალი ჯუნტის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოს ჩამოყალიბების შედეგებს. მუნიციპალური საბჭოს ორშაბათს გამართულ სხდომაზე ჯუნტაში აირჩიეს იტალიის კომუნისტური, სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები. ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ ორგანოში უმრავლესობას შეადგენენ კომუნისტები — 12 კაცი, ოთხნი წარმომადგენლობენ იტალიის სოციალისტურ პარტიას და ორნი — სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

რომის ახალი მერი გახდა ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი-ხელოვნებათმცოდნე ჯულიო კარლო არგანი, რომელიც მუნიციპალური საბჭოს წევრად კომპარტიის სიებით აირჩიეს.

რომში დემოკრატიული ჯუნტის შექმნა შესაძლებელი გახდა იმ დიდი წარმატების შედეგად, იტალიის კომუნისტურმა პარტიამ რომ მოიპოვა უკანასკნელ ნაწილობრივ ადმინისტრაციულ არჩევნებში, რომელიც პარლამენტის ვადამდელი არჩევნების ერთდროულად გაიმართა იტალიის მთელ რიგ ქალაქებსა და პროვინციებში ამა წლის 20 ივნისს.

## სეტყვა საფრანგეთში

პარიზი. საქდესის კორ. ა. მანდროვი გვატყობინებს: ძლიერმა სეტყვამ, რომელიც მოვიდა საფრანგეთის მთელ რიგ რაიონებში, დიდი ზარალი მიაყენა ქვეყნის სოფლის მეურნეობას.

სამშაბათს სეტყვამ მოსპო ბურგუნდიის სახელგანთქმული ვენახების 60 პროცენტი სონისა და ლუარის დეპარტამენტებში. ასეთი ძლიერი სეტყვა ამ რაიონებში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე პირველად მოვიდა. წინასწარი შეფასებით, ეს სტიქიური უბედურება გამოიწვევს ახალი მოსავლის ყურძნის წვენის წარმოების 13 ათასი ჰექტოლიტრით შემცირებას. მევენახეთა პროფესიული გაერთიანების ადგილობრივმა ფედერაციამ ხელისუფლებს მოსთხოვა დეპარტამენტი უბედურების ზონად გამოაცხადონ და დახმარება გაუწიონ ყველაზე დაზარალებულ გლეხებს.

სეტყვამ გაანადგურა ასობით ჰექტარი ვენახი, ქარხლის, კომბოსტოს, სიმინდის ნათესები მენისა და ლუარის დეპარტამენტში. მსხვილი სეტყვა მოვიდა ორი დღის წინათ რონის დეპარტამენტში. 15 წუთში მინდვრები დაიფარა 15 სანტიმეტრი სისქის ყინულის საფარით, დაიმსხვრა მინები სახლებსა და ავტომანქანებში, დაზიანდა სატელეფონო კომუნიკაციები.

პიუი-დე-დომის და კანტალის დეპარტამენტებში ელ-ჭექის შედეგად გაჩნდა ხანძრები. ცეცხლმოდებულ ფარეხებში დიდძალი ცხვარი დაიღუპა.

ამ ზაფხულს საფრანგეთში სტიქიური უბედურების — გვალვის, ხანძრების, ახლა კი სეტყვის შედეგად 37 დეპარტამენტი უბედურების ზონად არის გამოცხადებული.

## ფოტოინფორმაცია



მოზამბიკი. მაპუტუს ცენტრალურ ჰოსპიტალში საბჭოთა ექიმების ჯგუფი მუშაობს. ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის ამ უდიდესი სამედიცინო ცენტრის მუშაობას, კვალიფიციურ დახმარებას უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას.

სურათზე: საბჭოთა ექიმი კ. იმამკულიევი ესაუბრება ჰოსპიტლის პერსონალს.

იტალია. სულ უფრო მწვავდება კრიზისი საბინაო მშენებლობაში. როგორც პრესა იუწყება, მშენებლობათა შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ იზრდება ცემენტის, ბეტონისა და სხვა სამშენებლო მასალების ფასები. განსაკუთრებით რთულ ყოფაში არიან დიდი ქალაქების მცხოვრებნი. საბინაო მშენებლობის ნორმალურ განვითარებას ხელს უშლის ზოგიერთი კერძო სამშენებლო კომპანიის სპეკულაციური საქმიანობა. მოგების გამო ისინი ხშირად არღვევენ მშენებლობის ნორმებს.

სურათზე: „ჩვენ ვისუნთქოთ გვინდა!“, „გვსურს გვქონდეს პარკი ჩვენს რაიონში!“, „ბოლო მოეღოს სპეკულაციას საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში!“ — მოითხოვენ რომის ერთ-ერთი რაიონის მცხოვრებლები.

საქდესის ფოტოქრონიკა.




## საქდესი
## ყოველი მხრიდან

● ვარშავა. პოლონეთის ვ. ი. ლენინის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში 21-ე საერთაშორისო მეგობრობის ლაშქრობაში მონაწილეობისათვის სამი ათასი განაცხადი უკვე მიიღო კრაკოვის საორგანიზაციო კომიტეტმა. ყოველდღიურად ფოსტას მოაქვს მორიგი განაცხადები რესპუბლიკის საწარმოებისაგან, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციებისაგან. პოლონელი მონაწილეების გარდა, ლაშქრობაში გაემგზავრებიან უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის ჯგუფები. ლაშქრობა დაიწყება 18 სექტემბერს და ერთ კვირას გასტანს. გაიმართება ექსკურსია კრაკოვის სამახსოვრო ადგილებში, რომლებიც ამ ქალაქში ვ. ი. ლენინის ყოფნასთან არის დაკავშირებული.

● სან-ხოსე. „გაიცანით სსრ კავშირი“ — ასეთი ლოზუნგით კოსტა-რიკაში გაიმართა მრავალი ღონისძიება, რომლებიც მიეძღვნა კოსტარიკელი და საბჭოთა ახალგაზრდობის ურთიერთობის განმტკიცებას. ერთი კვირის მანძილზე ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში იმართებოდა საბჭოთა მუსიკის კონცერტები, გაიხსნა ფოტოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენები, იკითხებოდა ლექციები.

● მანილა. განუწყვეტელმა კოკისპირულმა წვიმებმა ფილიპინების ბევრ რაიონში წყალდიდობა გამოიწვია. წყალმა დატბორა ფილიპინების დედაქალაქის მთელი რიგი ქუჩები. ქალაქ ბალანგაში წყალდიდობის გამო შეწყდა ავტომობილების მიმოსვლა, დანგრეულია ბევრი საცხოვრებელი სახლი. უსაფრთხო რაიონებში უკვე ევაკუირებულია 8,5 ათასი კაცი.

● ტოკიო. იაპონიის საპნელი ზეთის მწარმოებელმა ორმა ძირითადმა კომპანიამ „ნისინ ოილ მილმა“ და „აძინომოტომ“ გამოაცხადა, რომ თავისი პროდუქციის ფასებს თერთმეტი პროცენტით გაადიდებს. ფასების ეს მომატება უთუოდ გამოიწვევს კვების ბევრი პროდუქტის შემდგომ გაძვირებას.

## დავა გამწვავდა

ათენი. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კ. კარამანლისმა განაცხადა, რომ საბერძნეთმა მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და საერთაშორისო სასამართლოს თხოვნით განიხილონ მისი კონფლიქტი თურქეთთან ეგეოსის ზღვაში კონტინენტალური შელფის საზღვრების თაობაზე. მან გამოთქვა იმედი, რომ დავა გადაწყდება მშვიდობიანი საშუალებებით, ძალის გამოუყენებლად. კარამანლისმა ეს განაცხადა კაბინეტის საგანგებო სხდომისა და რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან კონსულტაციის შემდეგ.

ამავე დროს საბერძნეთმა თურქეთს გაუგზავნა მეორე საპროტესტო ნოტა, იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის საკვლევმა გემმა „სეისმიკ-1“-მა დაარღვია მისი საზღვრები; ეს გემი ეწევა ნავთობის ძიებას ეგეოსის ზღვაში. ნოტაში აღნიშნულია, რომ „სეისმიკ-1“-ს ახლდა თურქეთის სამხედრო ვერტმფრენავები და ხომალდები.

პრესა იტყობინება, რომ საბერძნეთის სამხედრო ხომალდები მიემართებიან სადავო რაიონში.

ანკარა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ს. დემირელმა განაცხადა, რომ „სეისმიკ-1“ განაგრძობს თავის ოპერაციებს ეგეოსის ზღვაში, საბერძნეთის მიერ მიღებული ღონისძიებების მიუხედავად. თუმცა დაუმატა, რომ შეშფოთებისათვის რაიმეთარი საფუძველი არ არის. პრესა იუწყება სამხედრო ნაწილების ზოგიერთი გადაადგილებისა და ზოგიერთ ავიაბაზებში თვითმფრინავების საბრძოლო მომზადების შესახებ. მაგრამ ოფიციალური და სამხედრო წრეები ამ ცნობებს არ ადასტურებენ.

ბრიუსელი. პრესის ცნობებით, ნატოს ხელმძღვანელ წრეებში დიდი შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს საბერძნეთ-თურქეთის ახალი დავის განვითარებას. ამ წრეებს ალელვებს მდგომარეობა ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგზე, რომელიც როგორც მათ მიაჩნიათ, ისედაც მეტისმეტად შესუსტებულია კვიპროსის გამო საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტის შედეგად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის ხელოვნება

# მილიონთა ფესტივალი

**ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ I ᲢᲣᲠᲘ**

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წლის დეკემბერში მიიღო დადგენილება, რომ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ გაიმართოს მშრომელთა თვითმოქმედების სრულიად საკავშირო ფესტივალი. ეს დადგენილება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დიდ ზრუნვას, რასაც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და მთავრობა იჩენენ მხატვრული თვითმოქმედების მიმართ.

ასეთი ფესტივალი პირველად ტარდება ჩვენს ქვეყანაში. იგი დიდი ფესტივალია და ამიტომ სამ ტურად ეწყობა. მასში მონაწილეობას იღებენ ყველა უწყებისა და ჟანრის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. სსრ კავშირის რესპუბლიკებში და ოლქებში შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ფესტივალის მიმდინარეობას. საქართველოს სსრ ორგკომიტეტმა დადგენილებები, დებულებები, შემოქმედებითი სექციების რეკომენდაციები და სხვა სახელმძღვანელო მასალები ადგილებზე დროულად დაგზავნა. ერთი სიტყვით ჩატარდა ფრიად სოლიდური სამზადისი ფესტივალის ჩასატარებლად.

1975 წლის 21 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი რესპუბლიკური ფესტივალი. ამის შემდეგ ფესტივალმა გადაინაცვლა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქუთაისში და საქართველოს სხვა რაიონებში.

რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეაჯამა შედეგები.

რა გვიჩვენა პირველმა ტურმა?

ბევრი თვითმოქმედი კოლექტივი დღეს („ორერა", „რერო", „რუსთავი", „ელადა" და სხვა) პროფესიული კოლექტივი გახდა. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენი რესპუბლიკის თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები არა მარტო რესპუბლიკის გარეთ, არამედ უცხოეთშიც... დღითიდღე იზრდება ჩვენი ხალხური თვითმოქმედი ხელოვნების გეოგრაფიაც და ბიოგრაფიაც.

ეს ტენდენციები უდავოდ იგრძნობოდა პირველ ტურში. უპირველეს ყოვლისა თვალსაჩინოა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რიცხობრივი ზრდა, მასობრიობა. გაჩნდა ისეთი ჟანრის კოლექტივები, (საცირკო ხელოვნების, კინო-ფოტო, მინიატურების ანსამბლები და სხვა, რომლებიც წინათ ჩვენში არ არსებობდა, და თუ არსებობდა, სუსტად იყო განვითარებული. საგრძნობლად აიწია საშემსრულებლო დონემ და ოსტატობამ. მოეწყო საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის მიერ რეკომენდებული ტრადიციული დღესასწაულები: სამხედრო-პატრიოტული სიმღერისა და მუსიკის დღესასწაული, სასულე ორკესტრების მარშ-ალლუმი, ახალგაზრდული სიმღერების დღესასწაული და სსრკ ხალხთა მეგობრობის დღეები.

ფესტივალის I ტურის ფარგლებში ჩატარდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების კონკურსი, სახალხო თეატრების დათვალიერება, ინდივიდუალურ მუსიკოს შემსრულებელთა და ხალხურ შემოქმედთა რესპუბლიკური კონკურსი, თვითნასწავლ მხატვართა კოლექტიური და პერსონალური გამოფენები, რომლებიც მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს. მოეწყო სემინარები, კურსები და კონსულტაციები ლოტბარების, ქორეოგრაფების, რეჟისორებისა და თვითნასწავლი მხატვრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ფესტივალის პირველი ტურის მომზადებისა და ჩატარების ყველა სფეროში დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედებისა და კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლებმა.

ძალიან მოგვეძალა ვოკალურ-ინსტრუმენტული და საესტრადო ანსამბლები. მათ ეტანება ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც ხშირად დამახინჯებულად ბაძავს ზოგიერთ უხეირო უცხოელ მომღერალს. მით უფრო სავალალოა ეს მოძალება, რომ ასეთი ანსამბლების მომრავლება ხდება საგუნდო ხელოვნების ხარჯზე. დაიკარგა შესანიშნავი ტრადიცია, როცა ყოველ რაიონს ჰყავდა სარაიონო გუნდი, ან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. მის მაგივრად გამეფდა ვოკალური ჯგუფები, შეიდკაცები, კვარტეტები და ტრიოები. ანალოგიური მდგომარეობაა სასულე ორკესტრების მხრივ. მთელ რესპუბლიკაში სამიათეული ორკესტრი თუ მოიყრის თავს და ისიც შემთხვევიდან შემთხვევამდე მუშაობს. ნაკლებად ვითარდება ქართული ხალხური საკრავების ორკესტრები, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხალხურ საცირკო ხელოვნებას, რომელიც ახლახან იკიდებს ფეხს ჩვენს თვითმოქმედებაში.

მეტად მწვავედ დგას რეპერტუარის საკითხი. ჩვენს რესპუბლიკაში ახლა არც ერთი გამომცემლობა და არც ერთი ჟურნალი არ ბეჭდავს თვითმოქმედი კოლექტივებისათვის საჭირო რეპერტუარს.

მხატვრული თვითმოქმედების პირველმა საკავშირო ფესტივალმა მკაცრად დააყენა კადრების საკითხი. ეს პირველ რიგში ეხება საკლუბო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომელთა შორის მხოლოდ 20 პროცენტს აქვს უმაღლესი სპეციალური განათლება, დანარჩენი სულ სხვა სპეციალობის არიან... ეს გამოწვეულია იმით, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის საკლუბო დარგის მუშაკებს ჩვენში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებს.

ფესტივალის I ტურის ერთი ნაკლი ისიც არის, რომ იგი თითქმის სულ არ იყო რეკლამირებული, საორგანიზაციო კომიტეტს ჯერაც არ გამოუცია სათანადო პლაკატი ან აფიშა, ზოგიერთ რაიონში ადგილზე დაბეჭდეს აფიშები, მაგრამ საკმაოდ დაბალი ხარისხის. იმის გამო რომ მოსახლეობა ფესტივალის შესახებ სათანადოდ არ იყო ინფორმირებული, ბევრ ადგილას ფესტივალს ცოტა ხალხი დაესწრო.

შემოდგომიდან მეორე ტური იწყება.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი რესპუბლიკის თვითმოქმედი ხელოვნება კვლავ წარმატებით წარდგება ფესტივალის მეორე ტურზე.

**ᲐᲙ. ᲓᲔᲕᲘᲫᲔ,**
კულტურის დამსახურებული მუშაკი.

## ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘ 30 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ეს იყო 1946 წელს. ზაფხულის ერთ დღეს ბათუმის ცაზე პირველი სამგზავრო თვითმფრინავი გამოჩნდა და სარბენ ბილიკზე დაეშვა. იგი თბილის-ბათუმ-ოდესის რეისით დაფრინავდა. ასე დაიწყო ბათუმის აეროპორტის ისტორია.

მას შემდეგ საჰაერო ფლოტის ზრდასთან ერთად გაიზარდა ბათუმის აეროპორტიც. ახლა იგი პირდაპირი რეისებით არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის 24 ქალაქთან. 1973 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი აეროვაგზალი, ხოლო აეროდრომი ყველა ტიპის თვითმფრინავებს იღებს.

საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ბათუმის აეროპორტის 30-ე წლისთავი. მთელი კოლექტივი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები.

**Შ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲐᲫᲔ.**

## ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲪᲘᲢᲠᲣᲡᲔᲔᲑᲗᲐᲜ

**ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ** რაიონის სოფელ გონიოს სკოლადამთავრებულები საწარმოო პრაქტიკას გადიან წარჩინებულ მეციტრუსესთან სოციალისტური შრომის გმირ დ. ბაკურიძესთან. ახლა სოფელ გონიოს კოლმეურნეობის ბაღში მიმდინარეობს ნარგავების აგროტექნიკური მოვლა.

— შარშან, — თქვა დ. ბაკურიძემ, — ჩემთვის გაპიროვნებულ ნაკვეთში ჰექტარზე გადაანგარიშებით მოვკრიფე 648 ცენტნერი მანდარინი. ეს რეკორდული მოსავალია. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ წელს ციტრუსის უხვი მოსავალი მივიღოთ.

## ᲐᲮᲐᲚ ᲖᲕᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ

**ᲙᲐᲮᲔᲗᲡᲐ** და შირაქის ველზე დიდ ნაკვეთებს უთმობენ ვენახებს. მეათე ხუთწლედში ამ ზონაში შეიქმნება დიდი სპეციალიზებული კომპლექსები, უნდა გაშენდეს 36 ათასი ჰექტარი ვენახები.

ახალი ვენახების გასაშენებლად და ზვრების მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის საჭიროა მილიონობით ნერგი, დიდძალი სამყნობი მასალა. სათბურების გადაყვანა კალმის ელექტროავტომატიზებულ სტრატიფიკაციაზე ხელს უწყობს წარმატებით გადაწყდეს ნერგების წარმოების ამოცანა.

## ᲤᲔᲠᲛᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲡᲐᲫᲝᲕᲠᲔᲑᲘ

**ᲤᲔᲠᲛᲘᲡᲞᲘᲠᲐ** სარწყავი კულტურული საძოვრების მშენებლობაში გენერალური მოიჯარეა რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო. ასეთი საძოვრები ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იქმნება. სამელიორაციო სამუშაოებს აგრეთვე ხვნას, თესვას. საძოვრების შემოღობვას აწარმოებენ „საქსოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანებანი.

400 ჰექტარი უკავია ფერმისპირა სარწყავ კულტურულ საძოვრებს თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობაში. ეს საძოვარი მთლიანად უზრუნველყოფს სარძევე ჯოგს. (საქინფორმი).

**ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ**



**Თ**ბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში კარგად არის ორგანიზებული მუშებისა და მოსამსახურეების დასვენება. გაერთიანებას ორი ნათელი, კეთილმოწყობილი 600-ადგილიანი სასადილო, დიდი კაფე, ხამი ბუფეტი ემსახურება. თავისუფალ დროს მშრომელები ხუფთა ჰაერზე, მწვანეში ჩაფლულ ქარხნის ტერიტორიაზე ატარებენ. გაერთიანების მუშებისათვის მოწყობილია კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, ორი საცურაო აუზი. ჭადრაკის მოყვარულთათვის შექმნილია კლუბი. ხალხმრავლობაა ქარხნის ბიბლიოთეკაში, აქ შეიძლება წაიკითხოთ ახალი ჟურნალები და გაზეთები, ისარგებლოთ წიგნებით.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** დაიწყო შესვენება. ასე ისვენებენ მუშები.

Ვ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმი).

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საქ. კორ.). მაყურებელს ძალიან მოსწონს ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი სპექტაკლი „ქამუშაძის გაჭირვება". ამ დღეებში ქუთაისელებმა თავიანთი სპექტაკლი თერჯოლის რაიონის მშრომელებს ღია ცის ქვეშ, დავით კლდიაშვილის მშობლიურ სოფელში — სიმონეთში მისივე სახლ-მუზეუმის ეზოში უჩვენეს.

მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს: თ. კიკნაძეს, თ. ღვინიაშვილს, ნ. საღარაძეს, გრ. ნაცვლიშვილს, ერ. სვანაძეს და სხვებს, რომლებმაც გააცოცხლეს მწერლის გმირები.

**Დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ.**

**ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ** მახარაძის რაიონს საგასტროლოდ ეწვია თელავის სერგო ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

პირველი სპექტაკლი, რომელიც მახარაძის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში სტუმრებმა უჩვენეს, ბაშკირი დრამატურგის ი. ქარიმის ტრაგედია „მთვარის დაბნელების ღამეს" იყო.

თეატრის კოლექტივი გასვლით წარმოდგენებს გამართავს აგრეთვე კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

**Შ. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ.**

**ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲨᲘ** საგასტროლოდ იმყოფებოდა ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი. მათ ცხინვალელებს უჩვენეს შექსპირის „ჰამლეტი". სპექტაკლი დადგა რსფსრ სახალხო არტისტმა გ. ხუგაევმა, მხატვრულად გააფორმა გ. გუნიამ. ჰამლეტის როლს ასახიერებდა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი ა. ძიგაევი. წარმატება ხვდა აგრეთვე ი. გოგიჩევის კომედიას — „ოჰ, ეს ახალგაზრდები", მარცინკიავიჩუსის ორმოქმედებიან დრამას — „სიყვარული და ძალადობა", დ. თუაევის — „მექელეხნეს", გ. რუსთამოვის „დოლათის ქორწინებას", გ. ხუგაევის „სათსა და ბათს".

ეს სპექტაკლები მათ ზნაურის, ჯავის და ცხინვალის რაიონის მაყურებელს, აგრეთვე ბაბა კვაისის მაღაროელებს უჩვენეს.

კ. ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრი კი სპექტაკლებს მართავდა ჩრდილოეთ ოსეთში. მათ წარმოადგინეს თავიანთი საუკეთესო დადგმები: გ. ხუგაევის კომედია „სათი და ბათი", ვ. ვანეევის დრამა „კუბატიევების რძალი" და შილერის „დონ კარლოსი".

**Ბ. ᲗᲔᲓᲔᲔᲕᲘ.**

**ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ.** ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა შ. როყვას ორმოქმედებიანი კომედია „დიპლომის მოყვარულნი". დადგმა განახორციელა თეატრის რეჟისორმა ა. ჯორბენაძემ, მხატვრულად გააფორმა შ. კუნჭულიამ.

**Ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.**

## ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

**ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ.** (საქინფორმის კორ.). ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ბეროშვილის საფლავის შესახებ არაფერი იცოდნენ მისმა ნათესავებმა. გმირის მშობლიური სოფლის კარდენახის საშუალო სკოლის პიონერები დიდხანს ცდილობდნენ მის პოვნას. და აი, ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს თავიანთი თანატოლების წერილი კიევის ოლქის სოფელ ოპოჩინიდან.

„ვლადიმერ ბეროშვილის ნეშტი განისვენებს ძმათა საფლავში ჩვენი სოფლის სასაფლაოზე, — იუწყებოდნენ ოპოჩინის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები. — მან სიცოცხლე გასწირა ოკუპანტებისაგან ჩვენი სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მადლიერმა სოფლელებმა ძეგლი დაუდგეს მას. ჩვენ, პიონერებმა ყვავილნარი გავაშენეთ საფლავზე, დავრგეთ ნაძვები. დღესასწაულებზე საპატიო ყარაულში ვდგავართ აქ. ჩვენი პიონერული ორგანიზაციის ერთ-ერთ რაზმს მინიჭებული აქვს მოძმე ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ბეროშვილის სახელი".

ოპოჩინელმა პიონერებმა თავიანთ კარდენახელ თანატოლებს შესთავაზეს დაამყარონ მათთან მჭიდრო მეგობრული კავშირი. კარდენახელები სიხარულით გამოეხმაურნენ ამ წინადადებას, ახალი მეგობრები რთველში მოიპატიჟეს. მოსწავლეები შეთანხმდნენ, რომ ერთად შეხვდებიან ოქტომბრის დღესასწაულს.

ამჟამად უკრაინის შორეულ და ესოდენ ახლობელ სოფელ ოპოჩინში კარდენახელები მიამგზავრებიან. ჯერჯერობით კი სახელოვანი მეომრის საფლავს მისი ვაჟი დ. ბეროშვილი ინახულებს.

**ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ**



ძველი თაღოვანი ხიდი ხულოს რაიონის სოფელ ფურტიოში მდინარე ხხალთაზე. Ვ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმი).

# ᲧᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲐᲓᲒᲐᲗ...

## ᲙᲕᲐᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲤᲐᲠᲔᲡ

**ᲙᲐᲡᲞᲘᲡ** რაიონის დარგობრივ ვაჭრობის გაერთიანების დირექტორად ერთ ხანს დიანოზ რაჟდენის-ძე ქურთაევი მუშაობდა. მასაც ჰყავდა მოადგილე, ბუღალტერი, რევიზორები, საწყობის გამგეები და მთელი მრევლი ვაჭრობის მუშაკებისა.

რაჟდენიჩი (ასე მიმართავდნენ მას გაერთიანების მუშაკები) თანამშრომლების მიმართ მეტად გულისხმიერი კაცი იყო. ვალში არც თანამშრომლები რჩებოდნენ. იგი იმდენად უყვარდათ, იმდენად პატივს სცემდნენ, რომ მის ყოველ ბრძანებას ზეპირად სწავლობდნენ, შესრულებას კი თვითონაც არ თხოულობდა.

როცა საწყობის გამგემ არსენ მიხეილის-ძე გოგოლაურმა იმპორტული ხალიჩები „გამანსა" (თითეული 300 მანეთი ღირს), პირველად ქურთაევს მიართვა.

— რას მიშერებით, თქვე ოხრებო, ჩემს დაწერილ ბრძანებას კიდევ არ ემორჩილებით? მე ხომ სასტიკად ავკრძალე პიროვნებაზე საწყობიდან საქონლის გაცემა?!

— რაჟდენიჩ...

— რაჟდენიჩს მოგცემ მე შენ, არსენა გოგოლაურო! ჩემი ბრძანების დარღვევა მეორედ აღარ გაბედო. შენი ბედი რომ დღეს კარგ გუნებაზე ვარ. სასწრაფოდ შენ თვითონ მიიტანე ჩვენსა და, ვინც დაგხვდეს, უთხარი ნაფტალინში დააყაროს...

ასე გადიოდა დღეები, გაერთიანებაში თვალის ამხვევი ბრძანებები სოკოებივით მრავლდებოდა. არსენა კი საწყობში სახელმწიფო ფულებით თავის ნებაზე კოჭაობდა. მადა ჭამაში მოსდიოდა. ასმანეთიანებს ძალიან ეტანებოდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად.

არსენა გაერთიანებაში მეტად „გავლენიანი" და „მონდომებული" კაცი იყო. „თაფლის" მოსატანად ზოგჯერ ფუტკარზე უფრო შორს მიფრინავდა. — დაუღალავი მუშაკია, იტყოდა ხოლმე ქურთაევი არსენაზე. თუმცა დალხინებულმა და გალაღებულმა არსენამ ერთ დღეს შვებულება მოითხოვა.

კი ბატონო, უთხრეს. ოღონდ შენს დაბრუნებამდე საწყობი ბერიაშვილს გადავაბაროთო. არსენას ეს ამბავი არ ეპაშნიკა; იცოდა, გადაბარების დროს მისი ცოდვები, როგორც წყალზე საცობი, ისე ამოტივტივდებოდა. ძმაბიჭებს ჩამოუარა და თავისი გაჭირვების ამბები მოუყვა.

— თუ შვებულებიდან დაბრუნებისთანავე გაგვინაღდებ, საწინააღმდეგო რა გვაქვს, შენი ხმალი და ჩვენი კისერი, რა თანხის საქონელიც გინდა დაგვაწერეო. უთხრეს ძმაბიჭებმა.

არსენამ გაერთიანების № 3 სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველს ელგუჯა დავითის-ძე ბურდულს 7.000 მანეთის საქონელი დააწერა, იგოეთის სამრეწველო მაღაზიის გამგეს გიორგი აბრამის ძე ბურდულს 6.000 მანეთისა, ნიგოზის მაღაზიის გამგეგამყიდველს გიორგი მიხეილის-ძე წიკლაურს კი — 6.063 მანეთისა...

საწყობის აღწერამდე არსენამ საქმე მოაკვარახჭინა. მაგრამ ბერიაშვილმა მხოლოდ ხარისხიანი საქონელი გადაიბარა, მოდიდან გამოსულზე და დაწუნებულზე კი უარი განაცხადა. სპეციალური განკარგულებაც კი დაიწერა, მაგრამ ვერა და ვერ გატეხეს, ბერიაშვილმა ქვა აგდო და თავი შეუშვირა. 20.320 მანეთის წუნდებული საქონელი კვლავ არსენას კისერზე დარჩა, აღწერის შედეგად დანაკლისმა კი მხოლოდ 307 მანეთი და 75 კაპიკი შეადგინა?!

საქმე მაინც ძირ-დაირია. ერთ დღეს წიკლაური არსენასთან ქლოშინით მივარდა და უთხრა:

— თუ ძმა ხარ, ვალი გადამიხადე, თორემ, რევიზია მყავს და საქმე საცხედ გამიხდება.

— ნუ გეშინია, ყველაფერს მოევლება, — უთხრა არსენამ წიკლაურს, მაგრამ გულმა რეჩხი უყო. ჯერ იყო და რაჟდენიჩმა ხელი აუქნია, — სად იყავი, ვინა განახაო უთხრა. ახლა კიდევ ეს რევიზია. მათ ელგუჯა ბურდულთან მიირბინეს, დახმარება სთხოვეს. ელგუჯა ცოტახანს შეყოყმანდა; მაგრამ დახმარება შაინც აღუთქვა.

როცა, არსენამ და ელგუჯამ წიკლაურს 6.400 კილოგრამი შაქრის ფხვნილი მიუტანეს, რევიზორს მაღაზიის აღწერა დამთავრებული ჰქონდა, მაგრამ ერთხანს გაყუჩდა, პირში წყალი ჩაიგუბა. ბოლოს გაერთიანების დირექტორთან მივიდა და წიკლაურის მაღაზიის მდგომარეობა მოახსენა.

დირექტორმა მთავარი ბუღალტერი ღვინიაშვილი გამოიძახა. ითათბირეს, იმსჯელეს, საკუთარი ტყავის გადასარჩენად რამდენიმე ვარიანტი შეიმუშავეს.

რევიზორმა კალამი მოიმარჯვა, წიკლაურის მიერ გაფლანგული თანხა კარგა გვარიანად შეამცირა, მაგრამ გაფლანგული თანხიდან 1.452 მანეთი და 25 კაპიკი მაინც დარჩა.

წიკლაურის ამბავი ხვალ ჩვენს თავზე იქნებაო, გაიფიქრეს ბურდულებმა და არსენას ულტიმატუმი წაუყენეს, — გინდა თუ არა, ვალი გადაგვიხადეო.

—მეტი საქმე არა გაქვთ!, რას დარბიხართ, თქვენს ფულად ანგარიშებში შეამცირეთ ის თანხა, რაც მე მომეცით. მთავარი ბუღალტერი კი შესაბამისად საბუღალტრო ანგარიშებში შეგიმცირებთ. ეს უკვე ჩემი საქმეა, როგორ გავაკეთებ.

ბურდულებმა ზურგი იბრუნეს, მიირბინეს თავ-თავიანთ მაღაზიებში და მიღებული საქონლის ნაშთი ელგუჯამ 13.000 მანეთით შეამცირა, გიორგიმ კი — 6.000 მანეთით.

ბურდულებმა გული დაიმშვიდეს, მაგრამ მოულოდნელად არსენამ მათ „მდუღარე" გადაასხა.

— არაფერი გამოდის, ღვინიაშვილმა საბუღალტრო დოკუმენტებში ცვლილებების შეტანაზე უარი მითხრა, — მშვიდად მიუგო არსენამ და თითებით ციხის საკნის ფორმა გააკეთა.

ძმადნაფიცები ნირწამხდარი დაიარებოდნენ, ბოლოს მხოლოდ სპირტიან სასმელში იკლავდნენ. ერთხელ, საკმაოდ რომ შეზარხოშდნენ, არსენამ უთხრათ:

— გზა ერთია: ბუღალტერია უნდა დავწვათ.

...შუაღამისას რკინიგზის სადგურის დარაჯმა გაერთიანების შენობაში ხანძარი რომ შენიშნა, თბომავლის მემანქანესთან მიირბინა, თბომავლის კივილმა და სახანძრო მანქანების სირენის ხმამ კასპელ მშრომელებს ძილი დაუფრთხო.

გეგონებოდათ ციდან ჩამოფრენილანო, მაშინვე იქ გაჩნდა კასპის რაიონის მილიციის ოპერატიული ჯგუფი. მეხანძრეებმა ხანძარს შეუტიეს და მალე ჩააქრეს.

ოთახში ჯერ კიდევ კვამლი იდგა. რომ კასპის რაიონის მილიციის უფროსს ი. ხათაშვილს გულმა აღარ მოუთმინა და შ. გულიაშვილთან (უფროსი ლეიტენანტი), გ. გელიტაშვილთან (მილიციის უფროსი ლეიტენანტი) და ოპერატიული ჯგუფის სხვა წევრებთან და გამომძიებელ შ. თაბუაშვილთან ერთად გაერთიანების ბუღალტერია დაათვალიერა. ბევრი რამ უკვე დანახშირებულიყო, მაგრამ ბოროტმოქმედის" კვალი აშკარად ჩანდა.

დამნაშავის გამოსავლენად ოპერატიული სამოქმედო ჯგუფი შეადგინეს. თითეულს ცალკე დავალება მისცეს. მეტად სერიოზული სამუშაოს შესრულება დაევალათ უფროს ლეიტენანტებს რ. ინასარიძეს და ვ. შაქარაშვილს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებთან ერთად კასპის რაიმილიციის განყოფილებაში დამნაშავის გამოსავლენად სერიოზული ღონისძიებები გატარდა და დანაშაულის კვალს მიაგნეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბოროტმოქმედნი არსენა გოგოლაურის ბინაში შეიკრიბნენ, იქ შეიმუშავეს გაერთიანების ბუღალტერიის დაწვის გეგმა. მერე ერთხანს თავი სპირტიანი სასმელით შეიქციეს. შუაღამისას კი არსენამ აიღო წინასწარ გამზადებული პირამდე სავსე ათლიტრიანი სანავთე და ელგუჯა და გიორგი ბურდულებთან ერთად წავიდა ბუღალტერიის დასაწვავად...

ისარგებლეს ყარაულის დაუდევრობით, გააღეს ბუღალტერიის კარი, ირგვლივ ნავთი მოასხეს და განზრახვა შეასრულეს.

ბოროტმოქმედებმა დანაშაული აღიარეს, არსენამ ისიც კი თქვა, რომ წუნდებული საქონლიდან 6.976 მანეთი კიდევ გაფლანგეო.

ასე და ამგვარად, არსენას, მის ძმაბიჭებს გიორგი და ელგუჯა ბურდულებს, გიორგი წიკლაურს და სხვებს სახელმწიფოს ფული ყელში გაეჩხირათ. კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე გ. თარხნიშვილი), ისინი ხანგრძლივ „შვებულებაში" ერთად გაუშვა. ახლა ბოროტმოქმედები მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში ჰრიან.

**Რ. ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

ცხენოსნობა

## ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ

**ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ** დიდი დღესასწაული გაიმართა ამას წინათ თბილისის იპოდრომზე — სეზონის მთავარი პრიზების გათამაშების დღეებში.

ამ ასპარეზობაზე ჩამოვიდნენ ცნობილი მხედრები — ოსტატი ჟოკეი ბ. სიჟაჟევი (მოსკოვი), პირველი კატეგორიის ჟოკეი ს. კაპუშევი (პიატიგორსკი) და სხვა სპორტსმენები.

მ. ი. კალინინის სახელობის პრიზი ამ დღეს გათამაშდა 1.600-მეტრიან დისტანციაზე. საპატიო ჯილდო დაისაკუთრა ს. კაპუშევმა ცხენ „ილზე". მანვე მოიპოვა მეორე პრიზიც — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯილდო 3.200 მეტრზე გამარჯვებისათვის. ამჯერად იგი ცხენ „იდოლზე" ასპარეზობდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის პრიზის — „დერბის" გათამაშებამ, რომელშიც ცხრა მხედარი გამოდიოდა. 2.400-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო იყო ს. პშუკოვი (ნალჩიკი) ცხენ „გიტარაზე".

**Ნ. ᲡᲘᲯᲘᲜᲐᲕᲐ.**

## ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** დონეცკში, ადგილობრივმა „შახტიორმა" ფრედ — 1:1 დაამთავრა შეხვედრა გდრ-ის „მაგდებურგთან". ბურთები გაიტანეს როგოვსკიმ და ცაპეფმა. მოსკოვში „ლოკომოტივმა" დაამარცხა სინგაპურის ნაკრები — 4:0. ორი ბურთი გაიტანა გაზაევმა, თითო — ოვჩინიკოვმა და გ. ნოდიამ.

**ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ.** კარაკასში (ვენესუელა) მსოფლიოს სტუდენტთა ოლიმპიადის წინასწარი ტურნირის მეორე მატჩს კოლუმბიის გუნდთან სსრ კავშირის ნაკრები იგებს ანგარიშით 3:0 (ერთი პარტია გადადებულია). ამავე ჯგუფში შვეიცარიელები უგებენ ერაყის ნაკრებს — 2,5:0,5 (1).

**ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ.** ესპანეთში დასასრულს უახლოვდება იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა ჩაატარა ექვსი მატჩი, ექვსივე მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. აქ იგი ბულგარეთის გუნდს შეხვდება. მეორე ნახევარფინალში ასპარეზებენ იუგოსლავიისა და ესპანეთის გუნდები.

## ᲰᲝᲙᲔᲘ... ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ

**ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ** სიცხე-პაპანაქება ლხას ქუჩაში. ჰოკეისტებმა კი უკვე ახალი სეზონი დაიწყეს.

შეუდგა „თავის ხაქმეს" სსრ კავშირის ნაკრებიც, რომელიც უკვე ჩაება პირველ ოფიციალურ სეზონისწინა ასპარეზობაში — სვერდლოვსკის ტურნირში, სადაც გამოდიან ქვეყნის უძლიერესი კლუბები.

და აი უკვე სექტემბერში საბჭოთა ნაკრებს გამოსვლა უწევს პასუხსაგებ საერთაშორისო ტურნირში კანადაში, სადაც იასპარეზებენ აგრეთვე ამ ქვეყნის, აშშ-ის, შვედეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის (მსოფლიოს ჩემპიონი) ნაკრები გუნდები. აღსანიშნავია, რომ კანადის ყინულზე გამოვა ბევრი პროფესიონალი ჰოკეისტი.

ამ ტურნირამდე ჩვენი ნაკრები კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს სახელგანთქმულ „ტრე კრუნურთან" (შვედეთის ნაკრები), ხოლო კანადის შემდეგ, ნოემბრის შუა რიცხვებში კი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს შეხვდებიან. 17-22 დეკემბერს გამოვლენ მოსკოვში გაზეთ „იზვესტიის" ტრადიციულ ტურნირზე, რასაც მოჰყვება შეხვედრები შვეციისა და ფინეთის გუნდებთან, შემდეგ კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი.

რაც შეეხება შიდასაკავშირო შეჯიბრებებს, სექტემბერში გაიმართება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის გათამაშება, 28 სექტემბერს შედგება საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩები, რომელიც 16 მარტს დამთავრდება. 4 აპრილიდან 8 მაისამდე კი გათამაშებულ იქნება სსრ კავშირის თასი.

დღეს კი, 20 საათზე სპორტის მოყვარულებს ვიწვევთ ცისფერ ეკრანებთან — ცენტრალური ტელევიზია მართავს სსრ კავშირის ნაკრებისა და ცსკა-ს მატჩის ახალი სეზონის პირველ რეპორტაჟს სვერდლოვსკის ტურნირიდან.

სასამართლოს დარბაზიდან

## ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ

**ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ** სტალინის სახელობის შახტის წმენდითი სანგრევის მუშამ ზაურ სიმონის-ძე ფოფხაძემ სინდისი დაკარგა და საბჭოთა მოქალაქისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა — თავის ამხანაგს, ამავე შახტის ამფეთქებელს ზაურ ფორჩხიძეს ქვანახშირის სანგრევის ასაფეთქებლად განკუთვნილი ექვსი კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება მოჰპარა.

ბოროტმოქმედის მოსაძებნად დროულად მიღებულმა ზომებმა ნაყოფი გამოიღო. ნაქურდალი მთლიანად მოიძებნა და საწყობს ჩაბარდა, ხოლო ქურდი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ამ დღეებში სახალხო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, შახტის კოლექტივის თანდასწრებით გაარჩია ბრალდებულის საქმე და ზ. ფოფხაძეს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**Ვ. ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** 13 საათისათვის დასავლეთ საქართველოში მოღრუბლული, უხალექო ამინდი იდგა. ტემპერატურა ბარში — 20-24, მთაში 17-20 გრადუსი იყო. ყველაზე მაღალი ტემპერატურა 24 გრადუსი აღინიშნა ლანჩხუთში, ცხაკაიაში, ზუგდიდში, გუდაუთასა და გაგრაში, ხოლო ყველაზე დაბალი — 11 გრადუსი ბახმაროზე.

აღმოსავლეთ საქართველოში 13 საათისათვის ყვარელში წვიმდა, დანარჩენ რაიონებში მოღრუბლული, უნალექო ამინდი იყო. ტემპერატურა ბარში — 20-22, მთაში — 13-18 გრადუსი. ყველაზე მაღალი ტემპერატურა იყო მუხრანში — 25, გარდაბანსა და ბოლნისში — 24, ყველაზე მინიმალური — ბაკურიანში 13 გრადუსი.

თბილისში მოღრუბლული, უნალექო ამინდი იდგა, თერმომეტრი 22 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — 18-23, მთაში — 14-18 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, იქროლებს დასავლეთის ქარი წამში 3-7 მეტრი სიძლიერით, ტემპერატურა ბარში — 20-25, მთაში 11-16 გრადუსი.

თბილისში უმნიშვნელო წვიმაა მოსალოდნელი, დაუბერავს ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ტემპერატურა 23-25 გრადუსი.

საქართველოში დღის ტემპერატურამ 5-7 გრადუსით დაიწია. ეს აგრილება შედეგია ევროპის ჩრდილო რაიონებიდან ჰაერის ცივი მასების გავრცელებისა, რომელიც საქართველოში შავი ზღვიდან შემოვიდა.

საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრო და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 70 წლისა გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამზადებათა ყოფილი მინისტრი

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲮᲕᲐᲡ-ᲫᲔ ᲜᲐᲠᲡᲘᲐ**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ Მ. Ბ. ᲜᲐᲠᲡᲘᲐᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ**

**ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ** პანაშვიდი 1976 წლის 12-13 აგვისტოს განსვენებულის ბინაში (ლარსის ქ. № 1) საღამოს 8 საათზე, გამოსვენება 14 აგვისტოს 17 საათზე, დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საბურთალოზე.

რედაქტორი
**Დ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

## ტელევიზია

### 12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ**

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი „პრივალოვის მილიონები" (II სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.35 — კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — ბავშვებისათვის სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მეკარე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — ბავშვებისათვის „მუსიკალური გასაღები". ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 18.25 — „მწერალი და ხუთწლედი" — „ცისიძირის ნარინჯებში" (განმეორებით), 19.45 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა", 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 21.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კაპელის კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (განმეორებით).

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ**

18.05 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენი მხარე" — „ტიუმენი". ფერადი გამოსახულებით, 18.55 — განცხადებები, 19.00 — მხატვრული ფილმი „უცნობი, რომელსაც ყველა იცნობდა" (IV სერია).

## რადიო

### 13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ**

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ვ. ლუდვიკოვსკი. მსუბუქი საორკესტრო პიესები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — მ. დე ფალია. სიმფონიური შთაბეჭდილებები „ღამეები ესპანეთის ბაღებში", 11.45 — საუბარი „სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცება მთელი საზოგადოებრიობის საქმეა", 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — პ. ტიჩინას ლექსები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — გ. გალინინი. არია ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 14.00 — კონცერტი რ. გლიერის ნაწარმოებებიდან, 15.00 — „მეგობართა ხმები" (გადმოცემა მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან), 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება" — თ. ახობაძის კონცერტი, 17.40 — მოსწავლეთათვის ი. გოგებაშვილის მოთხრობები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.00 — სამგზავრო ტრანსპორტი: „სიახლენი და ხარვეზები" (რეიდის მასალები), 19.15 — ა. ანდრიაშვილი. ოპერა „კაკო ყაჩაღის" ნაწყვეტები, 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — მ. გორკი. „დედა". რადიოდადგმა, 23.30 — ო. თაქთაქიშვილი. კანტატა „გურული სიმღერები".

კომუნისტი
380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443  უე 13954 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14